# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუქდვური სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 9 იანვარი, 2013 წელი.

№3 (7130)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც თავისუფლებას კარგავს, მონურ მდგომარეობაში ვარდება და პასუხისმგებლობის განცდაც უქვეითდება

### საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე



ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მომღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

**„ათასწლოვანი მოლოდინი კაცთა მოდგმის ხსნისა დასრულდა. აღსრულდა მრავალ თაობათა ნატვრა, — იშვა იესო.**

ოცი საუკუნის წინათ აღმობრწყინებული ბეთლემის ვარსკვლავი დღეს კვლავ ამცნობს სამყაროს ენით მიუწვდომელ საიდუმლოს ღვთის განხორციელებისა; სასწაულს, რომელსაც ვერასოდეს ჩასწვდება ადამიანური გონება. საოცრებას, რომელსაც ვერასოდეს წარმოიდგენდა თვით ანგელოზთა დასიც.

თითქმის არ არის არც ერთი ქვეყანა, არც ერთი ქრისტიანული ოჯახი, რომ არ ხარობდეს ამ დღის დადგომით, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრისთვის უცნობია ასეთი განწყობის ნამდვილი მიზეზი და ისიც, თუ რას ავალდებულებს ეს დღე ყოველ ადამიანს.

**უმრავლესობა ვერ გვიპასუხებს, მაინც რა მიზნით მიიღო კაცობრივი ბუნება უფალმა? რა საჭირო იყო ეს? რა შეიცვალა მისი მოსვლით დედამიწაზე?**

ამის გაგება ზოგიერთს არც კი აინტერესებს, მათთვის ისიც საკმარისია, რომ კარგი განწყობისა და მხიარულების რაღაც მიზეზი აქვთ. დაე, იყოს ეს ქრისტეს შობა, — არსობრივ მნიშვნელობას ამას არც ანიჭებენ. მათ კი, რომელნიც ნაკლებად გათვითცნობიერებულნი არიან სარწმუნოებაში, მაგრამ ცოდნის შეძენის სურვილი აქვთ, კიდევ ერთხელ შევახსენებ წმინდა წერილს:

ადამი შემოქმედმა ხატად და მსგავსად თვისსა შექმნა და სამოთხეში ნეტარი ცხოვრება უბოძა, მაგრამ სამყაროს გვირგვინად და განმგებლად დადგენილი კაცი თავისი ნებით, ამპარტავნებითა და უპასუხისმგებლო ქცევით ღმერთს განუდგა და მაცდურის მონობაში აღმოჩნდა. მასთან ერთად დაეცა მიწიერი სამყაროც, რომელიც მას ექვემდებარებოდა. ღვთის მადლით აღვსილი ჰარმონია, წმ. მაქსიმე აღმსარებელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეშმაკის ტირანიით განმსჭვალულმა სიმულვილმა და ურთიერთდაპირისპირებამ შეცვალა; ეს მდგომარეობა აისახა როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობებში, ისე ცხოველთა, მცენარეთა და საერთოდ, მთელი ბუნების არსებობის წესში: ყველაფერი დაექვემდებარა პრინციპს, — ბრძოლა არსებობისათვის.

იხ. 3 გვ.

## პრეზიდენტი – მუხრუჭი!..

**გააფთრებული პრეზიდენტი სააკაშვილი ამ დღეებში ისეთ აგრესიულ განცხადებებს აკეთებს, აშკარაა, რომ სულ უფრო საშიში ხდება როგორც პირველ ოქტომბერს არჩევნებში გამარჯვებულ კოალიციასთან თანაარსებობის თვალსაზრისით, ისე, საერთოდ, ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის.**

შობა დღეს მეალილოეებთან შეხვედრისას მან დემაგოგიურად ილაპარაკა ახალი მთავრობის მიერ რამდენიმე პროექტის შეჩერებაზე (ეს მტკნარი სიცრუეა!), რომელთა განხორციელებას თითქოს ოცდაათი ათასი ადამიანი უნდა დაესაქმებინა. მას არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ ახალი ხელისუფლება ძირს უთხრის წინა ხელისუფლების (სხვათა შორის, დანაშაულებრივი ხელისუფლების!) მიერ წამოწყებულ საქართველოს აღმშენებლობას და ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ არაფრის დიდებით არ შედგეს წარსულთან ჩვენი მოსალოდნელი პაემანი.



როგორც ჩანს, პოლიტიკურად სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი კი არა, ახალი ხელისუფლების კრიჭაში ჩამდგარი დესტრუქციული ოპოზიციონერია, რომელიც ბორკავს და ხელს უშლის უმრავლესობასა და უმცირესობას შორის შემდგომ კონსტრუქციულ მუშაობას, რასაც გადაუდებლად ითხოვს ქვეყნის ამჟამინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალური ვითარება.

ბოლო ცხრა წლის მანძილზე ძალადობითა და უსამართლობით შეღონებული ხალხი ყოველივე ამას თვალნათლივ ხედავს და ამიტომ არის, რომ გადადგომის მოთხოვნით მიმართავს ავად გაოპოზიციონერებულ პრეზიდენტს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ რევანშისა და შურისძიების ავბედითი მიზანი ალაპარაკებს და, ცხადია, პოლიტიკურად არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აყენებს დღემდე მონურად მორჩილ უმცირესობას, ქვეყნის შემდგომი განვითარების საქმეში, თავად წონასწორობადაკარგული პრეზიდენტისა არ იყოს, საბედისწერო მუხრუჭად გადაქცეულს.

არადა, ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას მაცოცხლებელი წყალივით სჭირდება ბედგამხსნელი სასიკეთო ძალების კონსტრუქციული თანაარსებობა, რასაც ასე მოელის ჩვენგან ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი დასავლეთი.

## ჯარისკაცი გრძნობს, როცა სიყალბე და პოზიორობაა მთავარსარდლის საქციელში

6

## გვინდა ასეთი რექტორი?

5

## შეგნებულად გაზრდილი დანაკარგები და სემეკის ანაზარად მიტოვებული მოსახლეობა

7

## ადეიშვილისთვის ბრალდებების დადასტურებით დამკვეთის ვინაობაც გამჟღავნდება

4

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ყველაზე ხალხმრავალი დელეგაცია მსოფლიო პატრიარქს ჩამოჰყვება

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იუბილესთან დაკავშირებით, ყველაზე დიდი დელეგაცია თბილისში მსოფლიო პატრიარქთან ერთად ჩამოვა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ უწმინდესის საიუბილეო თარიღების აღმნიშვნელი სახელმწიფო კომისიის წევრმა, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა არმაზ ახვლედიანმა განუცხადა.**

მისივე თქმით, უწმინდესის საიუბილეო თარიღის გამო საქართველოში თითქმის ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის წარმომადგენელი ჩამოვა. მათ შორის არიან მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს II, სერბეთის პატრიარქი, უწმინდესი ირინეოსი, ჩეხეთისა და სლოვაკიის ეკლესიის წინამძღოლი, მიტროპოლიტი ქრისტეფორე და, ასევე, ბულგარეთის პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი კირილე.

ახვლედიანის განცხადებით, სხვა ეკლესიების დელეგაციები მღვდელმთავრების მეთაურობით ჩამოდიან. მათ შორის არის რუსეთიდან დელეგაციაც. კერძოდ, რუსეთის დელეგაციას რუსეთის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელი, მიტროპოლიტი ილარიონი უხელმძღვანელებს. მასთან ერთად დელეგაციაში იქნება ასევე ორი მღვდელმთავარი.

9 იანვარს საღამოს სერბეთის პატრიარქი უწმინდესი ირინეოსი ჩამობრძანდება. სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციები კი — 10 იანვარს.

### არმია

## ავღანეთში ქართულ ჯარს საბრძოლო ამოცანები აღარ ექნება

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, უკვე მიმდინარეობს დაგეგმარება , როგორი მისია ჩამოყალიბდება შემდეგ.**

„ხაზი მინდა გავუსვა, რომ ჩვენი ამოცანები არ იქნება სამხედრო, საბრძოლო. საბრძოლო მოქმედებებში ჩვენი შეიარაღებული ძალები აღარ მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენი ამოცანები იქნება, დავეხმაროთ ავღანეთის უსაფრთხოების სტრუქტურებს და ჯარს, რომ გამოცდილება გავუზიაროთ, მივცეთ შესაძლებლობები განათლების მიღებისა ჩვენს თავდაცვის აკადემიაში“, — აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

* * *

**2016 წლისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალები, შესაძლოა, მთლიანად საკონტრაქტო სამსახურზე გადავიდეს. თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, საკონტრაქტო სამსახურზე ეტაპობრივად გადავალთ. პირველ ეტაპზე იგეგმება სავალდებულო სამსახურის ვადის 12 თვემდე შემცირება.**

„გვაქვს სურვილი და ვგეგმავთ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მთლიანად გადავიდეთ სამხედრო საკონტრაქტო სამსახურზე. აქედან გამომდინარე ეტაპობრივად ჩვენ შევამცირებთ სავალდებულო გაწვევის ვადებსაც და რაოდენობასაც“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

### ჩანაფიქრი

## იქ მარტო კი არ ივაჭრებენ...

### კავკასიაში ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრის შექმნის იდეა



**ერგნეთის ბაზრობის აღდგენა მალე დაიწყება, განაცხადა გორის მაჟორიტარმა დეპუტატმა მალხაზ ვახტანგაშვილმა ერგნეთის მცხოვრებლებთან ახალი წლის მილოცვისას. მისი თქმით, იქ, სადაც ახლა ქართველი პოლიციელების საგუშაგოა, ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი აშენდება და ეს ქართველებისა და ოსების ურთიერთნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს.**

ერგნეთის ბაზრობის თემაზე დისკუსია როგორც ქართულ, ისე ოსურ საზოგადოებაში პერიოდულად იწყება ხოლმე. თავიდან ამ ბაზრობის აღდგენის იდეა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გორში წინასაარჩევნო შეხვედრისას გაახმაურა. მისი აზრით, ერგნეთის ბაზრობა იყო ის ადგილი, სადაც ქართველებისა და ოსების დაახლოება ხდებოდა. ბაზრობის აღდგენის მზაობაზე განცხადებები თბილისის ხელისუფლების მხრიდანაც გაჩნდა, თუმცა მოგვიანებით ოსურმა მხარემ ეს გაუგებრობას მიაწერა და ამ თემაზე საუბარი დაამთავრა. ქართველმა ექსპერტებმა მაშინ იფიქრეს, რომ დე ფაქტო ხელისუფლებას ამ თემაზე დისკუსია რუსებმა აუკრძალეს. რაც შეეხება პირობითი საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებთა პოზიციას, როგორც გორში, ისე ცხინვალში მცხოვრებთა დიდი ნაწილი ბაზრობის აღდგენის მომხრეა. მათი აზრით, სავაჭრო ურთიერთობისა და ეკონომიკური სარგებლის გარდა, ბაზრობა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობასაც აღადგენდა. ამ აზრს „ნაციონალურ მოძრაობაში“ ოპონენტები ჰყავს. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბაზრობა კონტრაბანდის ბუდედ იქცევა, რაც ქართულ ეკონომიკას დიდ ზარალს მოუტანს.

ტერიტორია, სადაც 2004 წლამდე ერგნეთის ბაზრობა იმართებოდა, ახლა ოკუპირებულია და იქ რუსი მესაზღვრეების საგუშაგოა განთავსებული, საგუშაგოს მიღმა კი პატარა ბაზარი დღემდე მუშაობს. ეგრეთ წოდებულ „ტეკის“ ტერიტორიაზე, ძირითადად, საბითუმო ბაზრობაა, საიდანაც ცხინვალის მაღაზიები მარაგდება. ამ ბაზრობაზე მოვაჭრე ადამიანები ჩვენს რადიოსთან საუბარში ძველ დროს იხსენებენ და აცხადებენ, რომ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა დაძაბულობის მოსახსნელად აუცილებელია. ზარემა კოჩიევა, რომელიც ამ ბაზრობაზე წლების განმავლობაში მუშაობდა, მიიჩნევს, რომ დროთა განმავლობაში ადამიანებს შორის დაახლოება მაინც უნდა დაიწყოს.

გორის მაჟორიტარი დეპუტატი მალხაზ ვახტანგაშვილი ამბობს, რომ ცხინვალში მცხოვრები ნათესავების, მეგობრებისა და ნაცნობებისგან იცის, რომ ბაზრობის აღდგენის საკითხს ყველა მიესალმება. ჯერჯერობით უცნობია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, როგორ მოაგვარებს რუსეთის ხელისუფლებასთან ეგრეთ წოდებული საზღვრის გახსნის პრობლემას, რათა მოსახლეობას პროდუქციის გადატანის შესაძლებლობა მიეცეს. ის ტერიტორია, რომელზეც ვახტანგაშვილი ლაპარაკობს, ქართული პოლიციის საგუშაგოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, სადაც ცხინვალელები მისვლას სწორედ ამის გამო ვერ ახერხებენ.

**გოგა აფციაური**
**რადიო „თავისუფლება“.**

### ბრიფინგი

## მელნიკოვს საქართველოში აუცილებლად ჩამოვიყვანთ



**— ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, მელნიკოვის ექსტრადირების ვადები 16 იანვარს არ იწურება. მისი განმარტებით, საქართველო მოქმედებს მინსკისა და ევროპული კონვენციის მიხედვით, რომელიც მასალების წარდგენის ვადად მაქსიმუმ 40 დღეს განსაზღვრავს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეს ვადები მასალების წარდგენის თვალსაზრისით საქართველომ დაიცვა. ახლა კი უკრაინელი კოლეგები საექსტრადაციო პროცედურებზე მუშაობენ.**

„16 იანვარი არ არის ექსტრადიციის ამოწურვის ვადა. ჩვენ განსაზღვრულ ვადებში წარვადგინეთ მასალები მელნიკოვთან დაკავშირებით. ახლა ჩვენი კოლეგები მუშაობენ, რის შემდეგაც გარწმუნებთ, რომ ოლეგ მელნიკოვი უკრაინის საექსტრადიციო საპყრობილიდან საქართველოში იქნება ჩამოყვანილი“, — განაცხადა თეა წულუკიანმა, რომელიც მელნიკოვის ადვოკატის გუშინდელ განცხადებას გამოეხმაურა.

ადვოკატის ინფორმაციით საექსტრადიციო ვადები ოლეგ მელნიკოვის შემთხვევაში 16 იანვარს იწურება.

4 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ დირექტორ დათა ახალაიას, ასევე სოსო თოფურიძეს, გერონტი ალანიასა და ოლეგ მელნიკოვს აღმკვეთი ღონისძიების სახით დაუსწრებლად პატიმრობა შეუფარდა. არც ერთი მათგანი საქართველოში არ იმყოფება.

ბრალდების მხარის ინფორმაციით, დათა ახალაიამ და სოსო თოფურიძემ საქართველო 2012 წლის 5 ოქტომბერს დატოვეს, ალანიამ — 22 ოქტომბერს, ხოლო მელნიკოვმა — 2010 წლის 2 დეკემბერს და მას შემდეგ ქვეყნის საზღვრები არ გადმოულახავთ. მათზე ძებნა „ინტერპოლის“ ხაზით გამოცხადდა.

აღნიშნული პირები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტაში, კერძოდ, პოლიციელების ცემაში არიან ბრალდებული. დათა ახალაიას თავისუფლების უკანონო აღკვეთაშიც ედება ბრალი. საქმე 2005 წელს იმ პოლიციელების ცემას ეხება, რომლებსაც ვანო მერაბიშვილის მეუღლის თაკო სალაყაიას შეურაცხყოფაში ადანაშაულებდნენ.

* * *

**გაუგებარია, რატომ წარმოადგენს ირაკლი ოქრუაშვილის ქუჩაში სიარული ოპოზიციისთვის საფრთხეს, — ეს განცხადება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა და აღნიშნა, რომ ირაკლი ოქრუაშვილთან მიმართებაში ბევრი შეთითხნილი ეპიზოდი არსებობს.**

ამასთან, მინისტრმა განაცხადა, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ფრთიან ანგელოზად არ მიიჩნევს, თუმცა მის მიმართ წინა ხელისუფლებიდან გარკვეული ეპიზოდები შეთითხნილი იყო. სწორედ აქედან გამომდინარე, როგორც წულუკიანმა აღნიშნა, პროკურატურამ მასთან მიმართებაში გარკვეულ საქმეებზე ძიება შეწყვიტა.




რაც შეეხება მიმდინარე საქმეებს, როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, „კუბლაშვილის სასამართლო“ პოლიტიკურ თამაშს აგრძელებს იმის მაგივრად, რომ კანონი დაიცვას.

„როცა ბრალდებული თავისი ნებით ჩამოდის ქვეყანაში, ეს ნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიება უნდა მოიხსნას, რაც ოქრუაშვილის შემთხვევაში სასამართლომ არ განახორციელა. როგორც ჩანს, „კუბლაშვილის სასამართლო„ პოლიტიკურ თამაშს აგრძელებს იმის მაგივრად, რომ კანონით იმოქმედოს. თუ რატომ ეშინია ჩვენს ოპოზიციას ოქრუაშვილის ქუჩაში სიარულის, ეს ჩემთვის გაუგებარია“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ამასთან, მისი თქმით, ირაკლი ოქრუაშვილი არ ფიგურირებს ამნისტიის შესახებ კანონში, რომელიც პრეზიდენტს უდევს წინ.

„ოქრუაშვილი კანონში არ ფიგურირებს, რომელიც ჩვენს ოროსან პრეზიდენტს უდევს წინ და არ იცის, ხელი როგორ მოაწეროს. ალბათ მას ურჩევნია, რომ გაათავისუფლოს ისეთი დამნაშავეები, რომლებიც მალევე შებრუნდებიან ციხეებში“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

### ადამიანის უფლებები

## გაიზრდება პოლიტპატიმრების რაოდენობა?

**ეკა ბესელია ჯერ ვერ აკონკრეტებს, გაიზრდება თუ არა პარლამენტის დადგენილებით პოლიტიკურ პატიმრებად და პოლიტიკურ დევნილებლად აღიარებულ პირთა სია და მიიღებს თუ არა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ანალოგიურ დოკუმენტს.**



როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ განუცხადა, კომიტეტში 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში 3 ათასამდე განცხადება და საჩივარი შევიდა, რომელიც როგორც უფლებათა დარღვევის ფაქტებს, ასევე პოლიტიკური ნიშნით დაკავებებს ეხებოდა. განცხადებები და საჩივრები ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სახელზე პარლამენტში იანვრის დღეებშიც შევიდა, თუმცა მას კომიტეტის ხელმძღვანელი ჯერ არ გაცნობია.

— არის საქმეები, რომელიც ეხება როგორც პოლიტიკური ნიშნით დევნის ფაქტებს, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევას. ის, თუ როგორი ფორმით მოხდება მათზე რეაგირება, წინასწარ ვერ ვიტყვი. შემიძლია გითხრათ, რომ კომიტეტი ყველა განცხადებასა და საჩივარს შეისწავლის. პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული ფორმაა, როცა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი კონკრეტულ საქმეებზე დასკვნას მოამზადებს და ის პარლამენტის სხდომაზე საჯარო განხილვის საგანი ხდება. შესაძლოა, ჩვენ ამ გზით ვიაროთ და შეიძლება სხვა ტიპის გადაწყვეტილებებიც მივიღოთ, — განაცხადა ბესელიამ.

დეპუტატის თქმით, კომიტეტის სახელზე შესულ განცხადებებს შორის რამდენიმე რეზონანსული საქმეა, რომელიც პოლიტიკური ნიშნით დევნაზე მიუთითებს.

**ინტერპრესნიუსი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც თავისუფლებას კარგავს, მონურ მდგომარეობაში ვარდება და პასუხისმგებლობის განცდაც უქვეითდება

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

(პირველი გვერდიდან)

ასე რომ, ღმერთსა და ადამიანს შორის გადაულახავი უფსკრული გაჩნდა; ადამმა და ევამ და მათმა შთამომავლებმა დაკარგეს სულიწმიდის მადლი, რითაც შემოქმედთან კავშირი ხორციელდებოდა და რაც ღმერთთან მათი მსგავსების განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი იყო; ამ მადლს მოკლებულნი, მოაკლდნენ სწორ აზროვნებასა და ქმედებასაც. ცოდვას ცოდვა შესძინეს და საკუთარ თავს მარადიული სიკვდილი განუმზადეს.

**ამ რეალობის შეცვლის შესაძლებლობა კი აღარ არსებობდა, რადგან კაცთა ხსნა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც უცოდველი იყო და ხელეწიფებოდა სხვათა სიმძიმე ეტვირთა. ასეთი კი, ამქვეყნად არ იპოვებოდა, რადგან პირველქმნილი ცოდვა ყველას მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ამას კიდევ ცალკეული ადამიანის პირადი ცოდვებიც ემატებოდა.**

**ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედმა და განმგებელმა ცანი მოდრიკნა, ადამიანური ბუნება მიიღო და ჩვენი ხსნისათვის დავითის ქალაქში, ბეთლემში იშვა.**

**აქ, ბაგაში, სიცივესა და სიმწირეში დაიბადა ახალი ადამი, — იესო, რათა ამპარტავნებით დაცემული ძველი ადამის ცოდვა გამოესყიდა, მართალთა სულები ჯოჯოხეთიდან ეხსნა და ღმერთთან კავშირი აღედგინა. აი, ეს არის ჩვენი დიდი სიხარულის მიზეზი, სათავე ენით გამოუთქმელი ბედნიერებისა.**

სხვა რა უნდა შევადაროთ ამ დღის სიდიადეს?! როგორ ხორციელდება პირველქმნილ ჰარმონიასთან ჩვენი დაბრუნება?

პირველ რიგში ქრისტიანული ნათლისღებით. **„ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ!“** — ამბობს საიდუმლოს აღსრულებისას მომღვარი და შვიდჯერ სცხებს მირონს მას, ვინც ინათლება, რითაც ადამიანს ენიჭება სულიწმიდის მადლი და ეძლევა განღმრთობისა და ნეტარი მარადიულობის დამკვიდრების შესაძლებლობა.

ამ მიუწვდომელი წყალობის გამო წმინდა მამები, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, საუკუნეთა მანძილზე გულწრფელად გაოცებულნი კითხულობდნენ: „რაი არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ მე კაცისაი, რამეთუ მოხედავ მას?“ (ფს. 8:4).

**ჩვენი ხსნისათვის მაცხოვრის თავგანწირვა უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ამ ეპისტოლეში სწორედ აღნიშნულ გრძნობაზე მინდა განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება.**

ეს თვისება ადამიანში ასაკთან ერთად ვითარდება; ამასთან, რამდენადაც მაღალ სულიერ საფეხურზე იმყოფება ესა თუ ის პიროვნება, მით მეტად არის მასში ეს განცდა.

პავლე მოციქული ამბობს: „როდესაც ვიყავი ყრმა, ვიტყოდი, როგორც ყრმა, ვფიქრობდი, როგორც ყრმა, ვმსჯელობდი, როგორც ყრმა; ხოლო, როდესაც დავკაცდი, ზურგი ვაქციე ყოველივე ყრმობის დროინდელს (I კორ. 13:11).

**ჩვენც გვმართებს ყრმობიდან გამოსვლა, ანუ სულიერი გაზრდა და გაცნობიერება ჩვენი პასუხისმგებლობისა უპირველეს ყოვლისა შემოქმედის — უფლის, სამშობლოს და მოყვასის წინაშე; პასუხისმგებლობისა როგორც ცოცხლების, ისე გარდაცვლილების მიმართ, რაც გულისხმობს ჩვენს ვალდებულებებს მშობლებთან, ოჯახთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან მიმართებაში, ასევე სამსახურებრივ პასუხისმგებლობას.**

**ჩვენი წინაპრები თავიანთ შვილებს ბავშვობიდან უღვივებდნენ ამ გრძნობას. ამიტომაც იყო ჩვენი ერი მლიერი. მიუხედავად განუწყვეტელი ომებისა, იგი იბრძოდა კიდეც და ამასთან, დაუღალავად შრომობდა და ქმნიდა.**

რწმენისა და მამულის დასაცავად საჭიროების შემთხვევაში ქუდზე კაცი გამოდიოდა. საერთოდ კი ოჯახში, სოფელსა თუ თემში ყველას თავისი პასუხისმგებლობა ჰქონდა: მეფე ზრუნავდა მთელს ერზე, თავადაზნაურობა პატრონობდა და ხმლით იცავდა თავის ტერიტორიაზე მცხოვრებთ; ეკლესია ანათლებდა და სულიერად ამტკიცებდა ერსსამწყსოს; გლეხები ქმნიდნენ დოვლათს; ყველანი ერთად კი შეადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ერთიან, მთლიან ცოცხალ ორგანიზმს, სადაც თითოეული თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ემსახურებოდა ღმერთს და ქვეყანას. რომელიმე მათგანის დამაბუნება იწვევდა ყველას დასუსტებას, რადგან არცერთი მათგანის ფუნქცია არ იყო უმნიშვნელო; თუმცა, რაც უფრო მაღალი იყო წოდება და თანამდებობა, მით მეტი იყო პასუხისმგებლობაც. ეს კი ხშირად სიცოცხლის გაწირვას მოითხოვდა. ზოგჯერ მეფის ან სასულიერო პირის თავდადება იყო საკმარისი, მაგ. წმ. დემეტრე თავდადებული, წმ. ევდემოზ კათოლიკოსი, ზოგჯერ კი მთელი ერის, — მაგ. 100000 მოწამის.

**თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც თავისუფლებას კარგავს, მონურ მდგომარეობაში ვარდება და პასუხისმგებლობის განცდაც უქვეითდება.**

გავიხსენოთ, რა მოხდა დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საქართველოში: მთელი ეს ჰარმონიული სისტემა მოიშალა, მეფის ხელისუფლება და ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმდა, მალაუფლება უცხო მალის ხელში გადავიდა, რის შედეგადაც თავადაზნაურობა უგულო ბატონად იქცა, ყოველივე ეს კი მთელი სიმწვავით გლეხკაცობაზე აისახა.

ქართველმა კაცმა მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი მირფესვიანად შეცვალა. საქვეყნო საზრუნავის ადგილი პირადულმა დაიკავა. სამშობლოზე ფიქრის ნაცვლად მისი გონება მხოლოდ საკუთარ კარ-მიდამოსა და ოჯახზე ზრუნვამ მოიცვა.



დიდმა ილიამ ეს პრობლემა ცნობილი ლექსით, — „ბედნიერი ერი“ — ნათლად დაგვანახვა.

ერის უპასუხისმგებლო მდგომარეობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ 1918 წელს წმინდა ილია მართლის ეროვნული გზის ნაცვლად ხალხმა უცხო ქვეყნის ათეისტური პარტია აირჩია. შემდეგ კი კიდევ უფრო სამწუხარო შედეგმაც არ დააყოვნა და მოკლე ხანში ქვეყანა კომუნისტური იმპერიის ნაწილი გახდა.

**უფალი, მართალია, სამართლიანია, მაგრამ, ამავე დროს მოწყალეც, რომელიც არა ცოდვათა ჩვენთაებრ მოგვაგებს, არამედ ჩვენი გამოსწორებისათვის გვწვრთნის იმის გათვალისწინებით, თუ რამდენის დატევნა შეგვიძლია.ამიტომაც რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, გაცილებით უკეთესად ვართ, ვიდრე ვიმსახურებთ და მრავალჭირგამოვლილი წმ. იოანე ოქროპირის მსგავსად მუდამ მადლობას უნდა ვწირავდეთ ღმერთს ყველაფრისათვის.და თუ გვსურს, მდგომარეობის გამოსწორება, უნდა ვიტვირთოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და უფლის წყალობა ამით მოვიპოვოთ. ეს არის ყველაზე მთავარი. ჩვენით კი ვერაფერს გავხდებით. მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობა დამღუპველი იყო და იქნება ყოველთვის.**

სამწუხაროდ, თითოეულ ჩვენგანს დღესაც გვაკლია პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩვენ გულგრილი ქრისტიანები ვართ, ნელ-თბილნი, და ამიტომაც დიდ შეცდომებს ვუშვებთ. ჩვენში მძლავრობს ეგოისტური ზრახვები და „მეს“ პრინციპი, რაც ჭეშმარიტ ღირებულებათა დამანგრეველია.

ჩვენი სულიერი სისუსტის გამოვლინებაა თუნდაც ის, რომ დღესასწაულებს ფაქტობრივად მიწიერი გრძნობებით ვეგებებით და რეალური განცდა ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობისა, არა გვაქვს. რომ ჩვენს გარშემო ვამჩნევთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც გვიყვარს ან გვძულს, სხვა უბრალო ადამიანები კი ყურადღების მიღმა გვრჩება. ღვთის წინაშე კი დიდი და მცირე არ არსებობს. რომ ცოდვა აღარ გვაწუხებს და მისი სიმძიმის განცდაც აღარ გვაქვს. რომ თითქმის გაწყვეტილი გვაქვს კავშირი ბუნებასთან, მისდამი მხოლოდ მომხმარებლურ დამოკიდებულებას ვიჩენთ და ჩვენი უპასუხისმგებლო ქცევით ვანადგურებთ მის სიკეთეთ.

**ჩვენი დანაშაულია ისიც, რომ კარგად არ ვიცნობთ ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას; არადა, მისი ცოდნა გვეხმარება, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს, საკუთარი თავი შევიცნოთ და სიცოცხლის აზრიც ნათლად გავაცნობიეროთ.**

არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ დღეს ინფორმაციული ომის ჟამი დგას, კალმით ანუ სიტყვით ბრძოლის დრო. მასთან შეჭიდება კი გონიერმა, მცოდნე და ამასთან ღვთისმოყვარე ადამიანებმა უნდა იტვირთონ. უნდა შევძლოთ, ყალბი იდეალების ბატონობის ჩვენს ხანაში გავხდეთ სულიერად უფრო მტკიცენი და მლიერნი, რათა გავიმარჯვოთ.

**განსაკუთრებით მინდა მივმართო ახალგაზრდებს და ვთხოვო: გაუძელით ინფორმაციულ შემოტევას, რომელიც ნიაღვარივით მოედინება მასმედიიდან და ცდილობს, ცრუ ღირებულებების გავლენის ქვეშ მოგაქციოთ, არ გახდეთ თანაზიარნი ფსევდოკულტურისა, რომელიც ამახინჯებს ფსიქიკას, აუხეშებს გრძნობებს და აცარიელებს შინაგან სამყაროს. შეიყვარეთ წიგნი, ისწავლეთ ღრმა აზროვნება, ისწავლეთ ღმერთის შიში და სიყვარული, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ერთგული მეცისოვნენი გახდეთ.**

დრო მცირე გვაქვს და არ უნდა აღმოვჩნდეთ იმ ხუთი ქალწულის მდგომარეობაში, რომელთა კანდელსაც უფლის მოსვლისას საკმარისი ზეთი არ აღმოაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ მორწმუნენი და უფლის მომლოდინენი, ვერ შევიდნენ ღვთის საუფლოში.

ბოროტის გავლენისაგან თავის დაღწევა დიდ მალისხმევას მოითხოვს და ეს მხოლოდ მლიერ პიროვნებებს შეუძლიათ, ანუ იმათ, რომელნიც საკუთარ ნებას გააზრებულად უმორჩილებენ ღვთის ნებას და ამქვეყნიურ საცდურთა წინააღმდეგ ბრძოლას არ უშინდებიან.

**ყოველი ადამიანი უპირველეს ყოვლისა სწორედ ასეთი პიროვნება უნდა იყოს, — ჭეშმარიტად თავისუფალი და სულიერად მლიერი, რათა ერს ხერხემლად ექცეს. ასეთი ადამიანების აღზრდის საქმეში ეკლესიას დიდი როლი აკისრია.**

საერთოდ, ეკლესია ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას; იგი ის მაცხოვნებელი წიაღია, რომელიც ინარჩუნებს საუკეთესო ტრადიციებს და აქვს რა უცვალებელი რჯული და მომღვრება, ყველა ეპოქაში მოწმობს ჭეშმარიტების შესახებ.

გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს მიუახლოვდა ადამიანთა თანასწორობის შესახებ ღირებულებათა იმ სტანდარტებს და ფასეულობებს, რასაც ეკლესია ოცი საუკუნის წინათ ქადაგებდა. მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის პერიოდში, მალმომრეობისა და დაუნდობლობის ხანაში, ქრისტეს სახარება მოუწოდებდა ხალხს თანასწორობისაკენ.

ყოველი ქრისტიანის ცხოვრება აბსოლუტურად თავისუფალია და ეკლესიის წევრობაც მხოლოდ მის თავისუფალ ნებაზეა დაფუძნებული. თითოეული მრევლის წევრი მხოლოდ საკუთარი სინდისით არის დაკავშირებული მომღვართან და ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლოც სინანულისა მხოლოდ მის პირად პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული, — ადამიანი დამოუკიდებლად წყვეტს, რას იტყვის აღსარებაში და იმასაც, რამდენად იქნება ეს ნათქვამი სინანულით გაჯერებული.

**სრული თავისუფლებით მოქმედი და, ამავე დროს, ჭეშმარიტი სინანულით განმსჭვალული პიროვნება იღებს სულიწმინდის მადლს, რომელიც ცვლის მის სულიერ და ყოფით სამყაროს და მას ღვთის სათნო შვილად აქცევს; შემდეგ კი უკვე იგი თვითონ ხდება გზის მაჩვენებელი სხვათათვის; ამაზე წერდა წმინდა სერაფიმე საროველი: მოიხვეჭე სულიწმიდის მადლი და შენს გარშემო ათასები ცხონდებიანო.**

თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, მოიპოვოს სულის სიღრმეში დამალული უფლისგან ბომებული ეს საჩუქარი, ვალდებულია, ააღორძინოს იგი, რათა ღირსეულად აღასრულოს თავისი ვალი ამ წუთისოფელში და შემდეგ ჩვენს დიდებულ წინაპართა მსგავსად ზეცის მოქალაქეობა მოიპოვოს.

შორეული ქვეყნებიდან ახლადშობილი იესო ქრისტეს თაყვანისსაცემად მიდიან აღმოსავლელნი მოგვნი, მიდიან მწყემსნიც თავისი გულწრფელობით, ანგელოზთა გალობის მსმენნი. მაშ, წავიდეთ ჩვენც, რათა ვიხილოთ ბაგასა მწოლი იესოს დიდებულება და აღარასოდეს განვშორდეთ, რადგან საუკუნო სიცოცხლის სიტყვები მასა აქვს მხოლოდ (ინ. 6:68).

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა!“

**ჩემო სულიერო შვილებო, ჩემო ნათლულებო, ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, ასირიელნო, იეზიდნო და ქურთნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო, უკრაინელნო და უდინნო... ყველას გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალმა მოგანიჭოთ მადლი სულისა წმიდისა, რათა იხაროთ ორსავ სოფელსა შინა, ამინ!“**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.
შობა ქრისტესი, თბილისი, 2013 წელი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ადეიშვილისთვის ბრალდებების დადასტურებით დამკვეთის ვინაობაც გამჟღავნდება



**ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაპატიმრებების გამო დასავლეთის მწვავე შენიშვნების მიუხედავად ახალი ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის პროცესს აგრძელებს. ამჯერად, დღის წესრიგში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი საქმე შემოდის, სადაც ყოფილი ხელისუფლების ყველაზე წონად ფიგურას, რუხ კარდინალად ცნობილ ზურაბ ადეიშვილს წამების ორგანიზებაში სდებენ ბრალს. ეს იქნება არა მხოლოდ იუსტიციის ყოფილი მინისტრის, არამედ, ფაქტობრივად, ყოფილი ხელისუფლების გასამართლების პროცესი, რადგან საზოგადოებაში წლების მანძილზე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ქვეყანაში მიმდინარე შავბნელი საქმეების მაგისტრი და უგვირგვინო მეფე სწორედ ზურაბ ადეიშვილი იყო.**

ექსპერტებს იმისი მოლოდინიც აქვთ, რომ ადეიშვილის საქმე იქნება ის პროცესი, სადაც ყოფილი ხელისუფლების ყველა უმაღლესი პირის, მათ შორის, ქვეყნის პრეზიდენტის ბრალეულობის საკითხიც გამოაშკარავდება. გამართლდება თუ არა ეს მოლოდინი, დრო გვიჩვენებს, ახალმა ხელისუფლებამ კი იუსტიციის ყოფილი მინისტრის ექსტრადირებისთვის პროცედურის მზადება უკვე დაიწყო.

5 იანვარს მთავარმა პროკურატურამ უკვე მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით, წინასწარი პატიმრობა შეეფარდოს იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილს, რომელსაც დაუსწრებლად წარედგინა ბრალი თანამდებობის ბოროტად გამოყენებით ციხეში პატიმართა მიმართ დამამცირებელი მოპყრობის ორგანიზებისა და პროვოცირების საქმესთან დაკავშირებით.

პროკურატურა ასევე ითხოვს, შეჩერდეს ზურაბ ადეიშვილის სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტის და სამი დიპლომატიური პასპორტის მოქმედება — ეს უკანასკნელი მას საშუალებას აძლევს, ისარგებლოს უცხო ქვეყანაში შესვლის გამარტივებული პროცედურებით და პრივილეგიებით.

როგორც იურისტი და უფლებადამცველი ლია მუხაშავრია ამბობს, სასამართლო არ შემდგარა და უდანაშაულობის პრეზუმფცია უნდა დავიცვათ, მაგრამ ეს არის წინასწარი ბრალდება, რომლის საფუძველზეც მოხდა ადეიშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება. მისივე განმარტებით, ვინაიდან გამოძიებამ და სასამართლომ ჩათვალა, რომ მას უნდა შეეფარდოს აღკვეთის ღონისძიება, თუ ჩამოიყვანენ, მას ექნება საშუალება, თავი დაიცვას.

პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ადეიშვილის დიპლომატიურ პასპორტებს პრეზიდენტ სააკაშვილის 12 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე, დამატებით 1 წლის განმავლობაში გაუგრძელდა მოქმედების ვადა, რომლითაც ამგვარი პრივილეგია თანამდებობიდან გათავისუფლების, ან უფლებამოსილების ვადის გასვლისას ზოგიერთი პირისთვის დადგინდა.

**ოფიციალური ინფორმაციით, ადეიშვილმა, რომელიც სააკაშვილის მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წევრი იყო, 2 ოქტომბერს - ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად რჩებოდა, ანუ 25 ოქტომბრამდე, ვიდრე ახალი მთავრობა დამტკიცდებოდა, დიპლომატიური პასპორტის გამოყენებით დატოვა საქართველო. მოგვიანებით, 19 ნოემბერს კი მისმა ცოლ-შვილმა დატოვა ქვეყანა. პროკურატურის განცხადებით, ადეიშვილის ადგილსამყოფელი უცნობია, ხოლო მის სახელზე საქართველოში ოფიციალურად არანაირი უძრავი ქონება არ ირიცხება.**

**ამ გარემოებების გათვალისწინებით, მთავარი პროკურატურა შესაძლებლად მიიჩნევს ამტკიცოს, რომ ადეიშვილს საქართველოში „დაბრუნების მოტივაციები არ გააჩნია“, ნათქვამია მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**, უფლებადამცველი: **„ძალიან საინტერესოა, ადეიშვილის პასპორტის შეჩერების მოთხოვნა რამდენად გავრცელდება იმ პასპორტის ვადის მოქმედების შეჩერებაზე, რომლითაც რეალურად სარგებლობს ზურაბ ადეიშვილი. მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ადეიშვილი სარგებლობს სხვა სახელსა და გვარზე გაცემული პასპორტით და ვფიქრობ, ეს არის ერთ-ერთი პასპორტი იმ 150-თაგან, რომელიც გაცემულია ძალოვანი უწყების სხვადასხვა თანამდებობის პირებზე, რასთან დაკავშირებითაც შს მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გია ლორთქიფანიძემ განაცხადა. თუმცა, მას შემდეგ არ მოგვისმენია, რამდენად ლეგიტიმური იყო ასეთი პასპორტების გამოყენება, ან სარგებლობდა თუ არა ბატონი ადეიშვილი მსგავსი პასპორტით“.**

დიმიტრი ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ სწორედ ამის გამო, ძალიან ძნელია ადეიშვილის მოძებნა. **„მაინტერესებს, რა ღონისძიებებს მიმართავენ სამართალდამცველი უწყებები იმისათვის, რომ დადგინდეს მისი რეალური ადგილსამყოფელი, გამოცხადდეს ძებნა წითელი ცირკულარით და დროულად იყოს ექსტრადირებული. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ასევე საზოგადოებრივი ინტერესის საგანია დიმიტრი შაშკინისა და ხათუნა კალმახელიძის საქმეები. ჩვენთვის ცნობილი უნდა გახდეს მათი პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტებთან დაკავშირებით“,** — აცხადებს ლორთქიფანიძე.

**კახა კახიშვილი**, ექსპერტი: **„ვფიქრობ, ადეიშვილს ერთი პასპორტი არ ექნება, დარწმუნებული ვარ, ბევრი გამოიყენებდა იმ სამართლებრივ ჩანაწერს, რომელიც აძლევდა საშუალებას უმაღლესი თანამდებობის პირებს სხვადასხვა გვარებზე აეღოთ პასპორტი. ადეიშვილს, ალბათ, ძალიან ბევრი, ოფიციალურად გაცემული პასპორტი ექნება. არ იქნებოდა ცუდი, პროკურატურას სამოქალაქო რეესტრიდან გამოეთხოვა ინფორმაცია ადეიშვილზე გაცემული პასპორტების შესახებ და ამის შემდეგ დაეწყო პროცედურა“.**

როგორც პროკურატურაში მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ ადეიშვილის დაცვის მხარე ინფორმირებულია წაყენებული ბრალის შესახებ, იუსტიციის ყოფილი მინისტრი თავს არიდებს გამოძიებაში გამოცხადებას, რითიც **„აშკარად უშლის ხელს გამოძიებას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. მთავარი პროკურატურა მიიჩნევს, რომ ადეიშვილის ბრალდების საქმის კონკრეტული და სპეციფიური გარემოებების, მისი პიროვნების, საქმიანობის, ყოფილი მაღალი თანამდებობრივი სტატუსის, სახელმწიფოსთან არსებული და დარჩენილი კავშირების, ასევე მისი კავშირების ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, მისი გადაადგილების თავისუფლების, მისი ბრალდების შესახებ ინფორმირებულობის მაღალი ხარისხის და მისი, როგორც ყოფილი იუსტიციის მინისტრის, თანამდებობრივი მოვალეობების ბოროტად გამოყენების გათვალისწინებით, არსებობს ბრალდებულ ზურაბ ადეიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისა და მის სახელზე გაცემული დიპლომატიური პასპორტების და საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერების აბსოლუტურად დასაბუთებული, სამართლიანი და კანონიერი გარემოებები“,** — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

კახა კახიშვილის შეფასებით, ადეიშვილის წინააღმდეგ საკმაოდ სერიოზული ბრალდებაა წამოყენებული.

**„ჟურნალისტური გამოძიებისა თუ პრესაში გაკეთებული ანალიზის შედეგად და ისედაც კარგად ვიცით, რომ ბოლო დროს ადეიშვილი მართავდა ქვეყანას და ის იყო რეალური პრემიერ-მინისტრი. აბსოლუტურად ყველა ბიზნესი, ყველა ბიზნეს-წილის გადანაწილება მის სახელს უკავშირდება. ბუნებრივია, მართლმსაჯულების ინტერესში უნდა იყოს ადეიშვილის ჩამოყვანა საქართველოში. თუმცა, ეს საკმაოდ რთულია. ამ ადამიანს აქვს ძალზე მჭიდრო კავშირები დასავლეთში, რომელიც მეგობრულ ურთიერთობაშიც არის გადაზრდილი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ადეიშვილი, მისი აღმოჩენის შემთხვევამდე შეეცდება, მოამზადოს საფუძვლები პოლიტიკური თავშესაფრის მოსათხოვად“,** — აცხადებს კახიშვილი.

პროკურატურის მიერ განცხადების გავრცელებიდან რამდენიმე საათში უკვე გავრცელდა დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ ზურაბ ადეიშვილმა ბელგიის მთავრობას პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით მიმართა, რაზეც მთავრობისგან თანხმობა და საცხოვრებელიც მიიღო. „ფრონტნიუსის“ ინფორმაციით, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა აგრეთვე მიიღო გარანტიები იმის შესახებ, რომ სასამართლოს მიერ ნებისმიერი ტიპის დანაშაულის დამტკიცების მიუხედავად, მას საქართველოში ექსტრადიცია არ ემუქრება.

ადეიშვილის ადვოკატებს პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის, მით უმეტეს, მიღებული გარანტიების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ, თუმცა პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნა არ ნიშნავს ავტომატურად მის მიღებას.

როგორც იურისტი **ლია მუხაშავრია** განმარტავს, დიპლომატიური პასპორტი ფაქტობრივად, პიროვნების ხელშეუხებლობას ნიშნავს, **„როდესაც გავრცელდება ინტერპოლის ინფორმაცია, რომ საქართველოს სასამართლომ მას აღმკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრება მიუსაჯა, ის ქვეყანა, სადაც ის იმყოფება, ვალდებულია, აცნობოს ჩვენს ხელისუფლებას ამის შესახებ, დააკავოს ადგილზე და მიიღოს ზომები მის გადმოსაცემად“,** — განმარტავს მუხაშავრია.

კახა კახიშვილი თვლის, რომ ადეიშვილის ჩამოყვანის პროცედურა იქნება საკმაოდ რთული, იქნებ შეუძლებელიც კი. **„რადგან სერიოზული კავშირები აქვს დასავლეთში. ბოლო პერიოდში ადეიშვილი დიდი ფიგურა იყო და მაღალი თანამდებობის პირებთან ჰქონდა დასავლეთში ურთიერთობა, რაც შეიძლება დაეხმაროს კიდეც პოლიტიკური დევნილის სტატუსის მოპოვებაში. ვიცით, რომ დიდი ფული და ნაცნობობა იძლევა იმის საშუალებას, უცხოეთში მიიღო პოლიტიკური დევნილის სტატუსი, მით უმეტეს იმ განცხადებების ფონზე, რომელიც კეთდებოდა დაკავებებთან დაკავშირებით. ამავდროულად, ადეიშვილის ჩამოყვანა არ შედის ნაცმოძრაობის ინტერესებში, რადგან ის ფლობს ყველაზე მეტ ინფორმაციას საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ვგულისხმობ არჩევნებამდელ პერიოდს“,** — აცხადებს კახიშვილი.

ლია მუხაშავრიას განმარტებით, **„თვითონ მუხლი — წამების ორგანიზება ძალზე მძიმე დანაშაულში ბრალდებაა, ამიტომ თუ ადეიშვილი გაეროს წევრ ქვეყანაშია, მისი გადმოცემა პრობლემა არ იქნება. მერე უკვე, გამოძიების დასრულების და სასამართლო განხილვის ეტაპზე, ყველამ უნდა შევძლოთ ამ ინფორმაციის მიღება, ანუ გამოძიებამ და სასამართლომ უნდა დაგვარწმუნოს, რომ ეს ყველაფერი დადასტურდა და, რომ მისი დაპატიმრება იყო საფუძვლიანი“,** — აცხადებს მუხაშავრია.

ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ აქტუალურია მოსაზრება, რომ იგივე დასავლეთი, რომელიც მხარს უჭერდა სააკაშვილის ხელისუფლებას, ყველანაირად შეეცდება, გაქცეული მინისტრები, მათ შორის ადეიშვილი, სისხლის სამართლებრივ დევნას გადაარჩინოს.

კახა კახიშვილი თვლის, რომ ადეიშვილს საქმე შესაძლოა, იყოს სხვა მაღალი თანამდებობის პირებზე გასვლის საშუალება, რაც ნაციონალურ მოძრაობასა და მის მეგობრებს არ უნდა აწყობდეს.

**„ადეიშვილს შეუძლია, ძალიან ბევრ რამეს ახადოს ფარდა. რეალურად, იგი დიდი ხანი აკონტროლებდა საგამოძიებო პროცესებს ყველა უწყებაში. საგამოძიებო სამსახურის უფროსებს ყველა უწყებაში ადეიშვილი ნიშნავდა და ყველგან ჰყავდა საკუთარი კადრები. ამდენად, ფლობდა ყველა სფეროში არსებულ სიტუაციას და შეუძლებელია, ჩამოყვანის შემთხვევაში მან არ მისცეს ჩვენება რომელიმე საკითხთან დაკავშირებით“,** — აცხადებს კახიშვილი.

აქვე საინტერესოა, რომ ადეიშვილისთვის ბრალდების დამტკიცებით უკეთ გამოიკვეთება გაქცეული მინისტრებიდან ერთადერთი დაბრუნებული მინისტრის, ბაჩო ახალაიას მონაწილეობის საკითხი ცნობილი ციხის კადრების საქმეში. არსებობს მოლოდინი, რომ დადასტურდება, იყო თუ არა ბაჩო ახალაია ამ საქმეში შემსრულებელი.

**„ადეიშვილი აკონტროლებდა ფინანსურ პოლიციას, მთელ სამართლადამცავ სისტემას, სასამართლოს. შესაძლოა, და ბუნებრივია, რომ ადეიშვილის მითითების შემსრულებელი იყო ბაჩო ახალაია, რადგან ახალაიას კადრებით იყო დაკომპლექტებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტი. თუმცა, ადეიშვილის თანხმობის გარეშე ვერავინ გაბედავდა რამის ორგანიზებას. შესაძლოა, ეს ადეიშვილის მითითებაც იყო“,** — მიიჩნევს კახიშვილი.

ლოგიკურად, თუკი ორგანიზატორისა და შემსრულებლის ვინაობა დადასტურდება, რჩება დამკვეთის დადგენა, თუმცა სამართალდამცველები ამ თემაზე ჯერ არ საუბრობენ. ამ ეტაპზე იმაზეც კი მხოლოდ ვერსიებია, თუ რატომ დაბრუნდა ბაჩო ახალაია საქართველოში.

**„არ ვიმოქმედებ ბრალდებულ ახალაიას ინტერესების საწინააღმდეგოდ, თუკი გავამხელ, რომ მასთან მქონდა შეხვედრა და მას ეს კითხვა დავუსვი. მან დაადასტურა, რომ დაკავებას ელოდა. ეს იყო წმინდა პოლიტიკური განცხადება მისი მხრიდან და როგორც ჩანს, ამ ბრალდებებისთვის მზად იყო, მაგრამ მას არ ეთანხმება. თუმცა, რამდენად არის მზად, როდესაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის წარუდგენენ ბრალდებებს, არ ვიცი“,** — აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

რაც შეეხება დამკვეთს, ლორთქიფანიძის ვერსიით, დამკვეთი საქართველოში რეპრესიული მანქანის შექმნისა, შესაძლოა, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს მიღმაც იყოს მოსაძიებელი.

დიმიტრი ლორთქიფანიძე თვლის, რომ ზურაბ ადეიშვილი იყო შემოქმედი იმ რეპრესიული მანქანისა, რომელიც ქვეყანაში მოქმედებდა.

**„მას ჰყავდა თავისი შემკვეთი და შემსრულებელიც და ვფიქრობ, რომ საბოლოოდ, ადეიშვილისთვის ბრალის დამტკიცების შემთხვევაში აუცილებლად წამოტივტივდება მიხეილ სააკაშვილის ბრალეულობის გარემოებები. ეს გარემოებები მიგვიყვანს თუ არა მათ მფარველებთან დასავლეთში, ეს სხვა თემაა“,** — ამბობს ლორთქიფანიძე.

თუმცა დიმიტრი ლორთქიფანიძეს აქვს ეჭვები, რომ დასავლეთის აქტიურობით, შესაძლოა, საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი ერთგვარად, გაუფერულდეს კიდეც.

და მაინც, ზურაბ ადეიშვილისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება და მასზე ძებნის გამოცხადება იქნება თუ არა პოლიტიკური ელფერის მატარებელი დასავლეთისთვის, რომელმაც ძალზე მწვავედ გამოხატა საკუთარი პოზიცია თავდაცვის ყოფილი, შემდეგ კი შს ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას დაპატიმრებაზე?

როგორც მუხაშავრია ამბობს, როდესაც ადამიანი გუშინ იუსტიციის მინისტრი იყო და დღეს მთელ მსოფლიოში ეძებენ, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ელფერის მატარებელია.

**„რაც არ უნდა შევეცადოთ, რომ ერთი, ან მეორე მხრიდან გავამართლოთ, რა თქმა უნდა, ერთი ხელისუფლების მიერ მეორის დევნას აქვს პოლიტიკური ელფერი, მაგრამ სხვა საკითხია, თუ ის დანაშაულები, რაშიც ბრალი ედება, დადასტურდა. მხოლოდ მაშინ მოიხსნება ეს ეჭვები“,** — ამბობს მუხაშავრია. მისივე განმარტებით, ადეიშვილისთვის ბრალის დამტკიცებას ხელისუფლებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**საზოგადოებაში არსებობს იმედი, რომ ადეიშვილის საქმე არ დაემსგავსება შევარდნაძის ყოფილ მაღალჩინოსანთა საქმეებს, რომელთა მიმართაც არსებობდა ბრალდებები, მაგრამ არც ერთი უცხოეთში „მიმალული“, „შავ საქმეებსა“ თუ კორუფციაში ეჭვმიტანილი მაღალი თანამდებობის პირი სააკაშვილის ხელისუფლებისთვის არც ერთ ქვეყანას არ გადაუცია.**

**მარიამ თოდაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ღია წერილი პედაგოგიურ საზოგადოებას



# გვინდა ასეთი რექტორი?

## განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბატონ გიორგი მარგველაშვილის გასაგონადაც!

**ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის ხვალინდელი დღე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი თაობა იზრდება დღეს; არც იმის შეხსენება გჭირდებათ, რომ აღსაზრდელის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტ გავლენას აღმზრდელი ახდენს. მოკლედ რომ ვთქვა, აღსაზრდელი ბოლოს და ბოლოს მნიშვნელოვანწილად თავის აღმზრდელს ემსგავსება.**

უნივერსიტეტის რექტორი შეიძლება უშუალოდ არ ზრდიდეს რომელიმე კონკრეტულ სტუდენტს, მაგრამ ის არის ხელმძღვანელი აღზრდის იმ სტრატეგიული მიმართულებებისა, რაც ამ სასწავლო დაწესებულებაში ხორციელდება. სწორედ მასზეა დამოკიდებული, რაზე იქნება მიმართული ასეულობით სტუდენტის გონება, რა ღირებულებითი ორიენტაციები ჩამოუყალიბდება მას. მართალია, საბედნიეროდ (ხანაც საუბედუროდ!) დღეს სტუდენტთა დიდ ნაწილს სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, რას ფიქრობს მისი რექტორი, მაგრამ ერთი ნაწილი ხომ უსმენს მას. ჰო, და პედაგოგიური საზოგადოების ვალია, გაუფრთხილდეს და მავნე გავლენებისგან დაიცვას სტუდენტთა თუნდაც ის „ერთი ნაწილი“.

რატომ დამჭირდა თქვენი და ბატონი გიორგი მარგველაშვილის შეწუხება ამ საახალწლო დღეებში (თუმცა, არა მგონია, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა ჩემს მოსასმენად მოიცალოს!)? ახლავე მოგახსენებთ!

ახალი წლის წინა დღეებში უზარმაზარი საგანმანათლებლო მონსტრის, ილიას უნივერსიტეტის კანცელარიამ ყველა თავის თანამშრომელს (შეიძლება, სტუდენტებსაც!) დაუგზავნა ერთობ უჟამურად გაფორმებული (არც ერთი მხიარული ფერი რომ არ ადევს) ღია ბარათი, რომელსაც, ამ საქმის მცოდნეთა თქმით, ხელს აწერს უნიევრსიტეტის ამჟამინდელი რექტორი გიგი თევზაძე. ახლა მე ამ ბარათის ტექსტს უცვლელად მოვიტან და მერე თქვენ განსაჯეთ, ამგვარი „აზროვნების“ კაცს თუ შეიძლება ახალგაზრდობის სწავლა-განათლება ანდოს ნორმალურმა ადამიანმა. მაშ, ასე:

**„ძვირფასო მეგობრებო,**

**მალე ახალი წელი დადგება. ის არ იქნება არც ერთი მანამდელი ახალი წლის მსგავსი (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა).**

**ალბათ ბევრმა თქვენგანმა არ იცის, რომ 2012 წლის 21 დეკემბერს სამყაროს დასასრული დადგა. ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ იმ რეალობაში, რომელიც სამყაროს დასასრულის შემდეგ წარმოიშვა.**

***შესაბამისად, რა გასაოცარიც არ უნდა იყოს, აღარარსებული სამყაროს ახალ 2013 წელს ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ წარმოდგენები და რწმენები, რომლებიც ჩვენი სამყაროდან დაგვრჩა. ეს არამც და არამც არ არის ნოსტალგიით აღძრული სურვილი: ჩვენი კვლევის თანახმად, მხოლოდ ჩვენი კოლექტიური და ინდივიდუალური წარმოდგენები, სურვილები და რწმენებია, რაც ჯერ კიდევ გვინარჩუნებს სამყაროს იმ სახით, როგორიც გვახსოვს და როგორსაც ვხედავთ. იმავეს გავიმეორებ უნივერსიტეტის — ჩვენი საერთო სამუშაო ადგილის შესახებ.***

**ამიტომ, ამ აწ უკვე აღარარსებული სამყაროს ახალ 2012 წელს გისურვებთ, მაქსიმალურად შეინარჩუნოთ თქვენი წარმოდგენები, სამყაროს თქვენეული აღქმის წესი, რწმენები, სურვილები და მიზნები, რადგან მხოლოდ ასე შევძლებთ იმ სამყაროს შენარჩუნებას, რომელიც აღარ არსებობს 2012 წლის 21 დეკემბრის შემდეგ.**

**გისურვებთ წარმატებებს!**

**გ. თევზაძე (ხელმოწერა)!“**

აი, ასე!

ახლა რას იტყვით, ამ „რექტორს“ უნდა ებაროს ამხელა უნივერსიტეტი?

ამ დღეებში არაერთმა ნაცნობ-მეგობარმა მომმართა: **ერთი ეს ბარათი წაიკითხე და მითხარი, ამის დამწერი სრულ ჭკუაზე თუ არისო.**

იმათ თვალში, ვინც არ იცის გიგი თევზაძე ვინ არის, ეს ბარათი აშკარად ჭკუიდან გადასული კაცის ნაბოდვარია მხოლოდ, მაგრამ ვინც იცის?

ჩემს თვალშიც ნაბოდვარია ეს ბარათი, მაგრამ უმიზნოდ ნაბოდვარი როდია. პარადოქსია, არა? ნაბოდვარი თუ არის, მიზანდასახული როგორღა არისო, — იტყვით თქვენ. არის, ჩემო კარგებო, არის! **ამ კაცს სურდა პროკლამაცია დაეწერა, დაწერა კიდეც, მაგრამ ჭკუა და სიმართლე არ ეყო და, ამიტომ, გამოუვიდა ნაბოდვარი.**

პროკლამაციის დაწერას ნიჭი უნდა, ნიჭი, და ცოტაოდენი ცოდნაც. ეს ბარათი თუ მხოლოდ მისი თანამოაზრეებისთვის არის განკუთვნილი და მხოლოდ მათთვის გასაგებად არის დაშიფრული, მაშინ რა საჭირო იყო მასობრივად მისი დარიგება? ეს გიგი თავისი თავის მტერია თუ რა? რამდენმა კაცმა, რომლებიც მისდამი სიმპათიაში იყო შემჩნეული, გაოცებულმა თქვა, **რას ბოდავს ეს კაცი, ჩვენ გვაშაყირებს თუ თვითონ მას ურიკინებსო.** აბა, რას იტყოდა ამის წამკითხველი: „ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ იმ რეალობაში, რომელიც სამყაროს აღსასრულის შემდეგ წარმოიშვა“.

არა, ჩემო კარგო, ნაცების თავდადებული იდეოლოგი, ისეთი სულელი როგორ იქნება, ეგონოს, სამყაროს აღსასრულისშემდგომ რეალობაში ვცხოვრობთო. **სამყაროს დასასრული მისთვის არჩევნებში ნაცმოძრაობის დამარცხებას ნიშნავს და მთელი პროკლამაციის პათოსი ის არის, რომ ყოფილმა და აწინდელმა ნაცებმა არ დაივიწყონ საიდან მოდიან და ჰქონდეთ იმის რწმენა** (გიგისებურად — რწმენები!), **რომ კვლავ დაბრუნდებიან** (როგორც ბებიაჩემი ოლღა დაბრუნდა „მასტერავოის“ მატარებლით!).

ამ ყველაფერზე სერიოზული ლაპარაკი იქნებ არც ღირდეს.

ერთს გავილაღავებდით და ეგ არის, მაგრამ **სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროკლამაციებს უნდა ავრცელებდეს?** თუ რამე აქვს სათქმელი, პირდაპირ თქვას, თუნდაც სულაც მან რომ იცის ისე — „ფილოსოფიურად“.

**გვინდა ჩვენ, პედაგოგიურ საზოგადოებრიობას ასეთი რექტორი, მით უფრო იმ უნივერსიტეტისა, რომელიც დიდი ილიას სახელს ატარებს?**

**თქვენ რას იტყოდით, ბატონო მინისტრო, თუ, რა თქმა უნდა, თქვენს მაღალ ყურადღებას მისწვდა ჩვენი ნათქვამი.**

**ზურაბ ცუცქირიძე**

◎ ჯანდაცვა

# რაც დემოგრაფიულ მდგომარეობას უთუოდ გააუმჯობესებს

## უფასო მშობიარობა და გარანტირებული პაციენტები

**ჯანდაცვის გაზრდილი ბიუჯეტიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეღავათი მომავალმა დედებმა მიიღეს. ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ხუნდაძის ინფორმაციით, 1 ივლისიდან მშობიარობა უფასო იქნება. ხარჯებს ერთიანი სადაზღვევო ფონდი დაფარავს, რომელიც თებერვლიდან ამოქმედდება.**

**„პარლამენტმა ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტი შემოიტანა, სადაც ჯანდაცვის ბიუჯეტი გაორმაგებულია. აქამდე იყო 450 მლნ ლარი, ჩვენ კი ეს 800 მლნ ლარამდე გავზარდეთ. ეს არის სერიოზული განაცხადი.**

**ჩვენ ვემზადებით, რომ შემოვიტანოთ ერთიანი სადაზღვევო ფონდი. ეს ნიშნავს, რომ თითოეული პაციენტი იქნება გარანტირებული და სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას თითოეული მოქალაქის მიმართ. 1 ივლისიდან კი მშობიარობა საერთოდ უფასო იქნება. ასევე გაიზარდა შემწეობები სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის“**, — განაცხადა ხუნდაძემ საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიაროში სტუმრობისას.

დეპუტატ გუგული მაღრაძის ინფორმაციით კი, ერთიანი სახელმწიფო სადაზღვევო ფონდი თებერვლიდან ამოქმედდება. **„სადღეისოდ სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ პენსიონერები, 5 წლამდე ასაკის ბავშვები და სოციალურად დაუცველი პირები არიან დაზღვეულნი. ყველა სხვა დანარჩენი მოქალაქე, რომელთა რაოდენობაც დაახლოებით 2 მილიონია, დაზღვევით ვერ სარგებლობს. ამ ადამიანებს ე.წ. ძირითადი დაზღვევა ექნებათ. საუბარია დაახლოებით ისეთ პაკეტზე, როგორც პენსიონერებს აქვთ, თუმცა შევეცდებით, რომ მომსახურება ხარისხიანი იყოს. ეს გულისხმობს ნებისმიერ ექიმთან უფასოდ კონსულტაციას, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, როგორც ამბულატორიულს, ასევე სტაციონალურს.**

**აღნიშნული პაკეტი თებერვლიდან ამოქმედდება. სექტემბრიდან დაზღვევის გაფართოებულ პაკეტზე გადავალთ, რომელიც გეგმური სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას გულისხმობს. სადაზღვევო პოლისებში ჩადებულია უფასოდ მშობიარობა, ხოლო თუ ვინმეს განსაკუთრებული პირობები სურს, მას შეუძლია, დამატებით გადაიხადოს. ყველა სამშობიარო სახლი სახელმწიფოსგან სათანადო ანაზღაურებას მიიღებს იმისთვის, რომ მშობიარობა უფასო იყოს“**, — აღნიშნა მაღრაძემ.



უფასო მშობიარობის პროგრამა 2009 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა. მას შემდეგ სახელმწიფო მშობიარობისას მხოლოდ სოციალურად დაუცველებს და ისიც მხოლოდ 400 ლარით ეხმარებოდა.

დემოგრაფი ანზორ თოთაძე ხელისუფლებას ახალ ინიციატივას უწონებს და თვლის, რომ უფასო მშობიარობა დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებაზე ნამდვილად აისახება.

**„შობადობის შემცირებას აქვს ორი ძირითადი მიზეზი, ესაა ეკონომიკური მდგომარეობა და ჯანმრთელობა. როცა მშობიარობა უფასო გახდება, ცხადია, ეს ხელს შეუწყობს შობადობის გაზრდას და ქვეყანაში არსებულ მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებას.**

**აზერბაიჯანში ორსულობის დაწყების დღიდან მშობიარობის დღემდე ყველა სამედიცინო მანიპულაცია ორსულისთვის უფასოა და მას სახელმწიფო ანაზღაურებს. სომხეთში, როდესაც ორსული ქალი სამშობიაროში შეჰყავთ, სახელმწიფო მას 350 დოლარს აძლევს, საიდანაც 60% მიდის მედპერსონალის დაფინანსებაზე, დანარჩენი 40% კი იმ აუცილებელ ნივთებზე, რაც დედა-შვილს სჭირდება.**

**ჩვენთან კი ძალიან ცუდი სიტუაციაა, ორსულ ქალს (თუ არ არის სოციალურად დაუცველი) სახელმწიფო არაფერს უნაზღაურებს. ეს კი,რა თქმა უნდა, პირველ რიგში, დემოგრაფიულ მდგომარეობაზე აისახება. ამიტომაცაა, რომ საქართველოში ძალიან იშვიათად შეხვდებით ისეთ ოჯახებს, რომელთაც 3, 4 და მეტი შვილი ჰყავთ, ძირითადად, 1 და 2-შვილიანი ოჯახები სჭარბობენ“**, — აღნიშნა „რეზონანსთან“ საუბრისას ანზორ თოთაძემ.

**ეკა ბაქრაძე**

◎ რეპლიკა

## ქვეყნის სახელს მეტი სიფაქიზით უნდა ვეკიდებოდეთ

**ჩინებული მუსიკალური პროექტი განახორციელა შარშან ტელეარხმა „რუსთავი-2“-მა, რომელსაც „საქართველოს ვარსკვლავი“ ერქვა და ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლები უნდა გამოევლინა, კონკურსმა ფართო გამოხმაურება და ინტერესი გამოიწვია და კარგადაც ჩაიარა — მრავალრიცხოვანი მონაწილით, შთამბეჭდავი ორგანიზებით, შესაბამისი რეკლამირებით, კომპეტენტური ჟიურით... საქართველოს ვარსკვლავი დამსახურებულად გახდა ლუკა ზაქარიაძე.**

**და მე სწორედ ამ ტიტულზე მინდა დალაპარაკება — ნამეტანი ხმამაღალი და მყვირალა, თუ გნებავთ, „უცერემონიო“ ხომ არ არის. აქამდე, მგონი, არც ერთ სფეროში არ ღირსებია არავის საქართველოს ვარსკვლავობა, თუმცა დიდი მომღერლებიც გვყოლია, საერთოდ, ხელოვანებიც, სპორტსმენებიც და სხვა. ისიც მგონია, რომ „რუსთავი-2“, თუნდაც პოპულარული ტელემაუწყებლობა იყოს, როდი უნდა ადგენდეს და წყვეტდეს, ქვეყნის ვარსკვლავი ვინ უნდა გახდეს... ან კი აქვს აზრი ასეთ ცნებას — „საქართველოს ვარსკვლავი“? ამისა რა მოგახსენოთ, აი, საქართველოს ბედის ვარსკვლავი კი კაი ხანია, ჩასვენებულია და ამობრწყინებას ჯერ არ აპირებს.**

**...იმ პროექტისათვის კი, ჩემი ფიქრით, უფრო მორიდებული დასახელება იქნებოდა შესაფერისი, თუმცა ტრივიალური — „რუსთავი-“-ის ვარსკვლავი“...**

**თამაზ ებანოიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ სპექტაკლომანია

# „მეც გილოცავ, ძმაო“

## ჯარისკაცი გრძნობს, როცა სიყალბე და პოზიორობაა მთავარსარდლის საქციელში

**ავღანეთში მიხეილ სააკაშვილის სტუმრობა ბევრისთვის სახალისო და იმ გმირული ეპოპეის გაგრძელება იყო, როცა პრეზიდენტი აგვისტოს ომის შემდეგ „ღრუბელ-ღრუბელ მიფრინავდა და მას რუსების ბეტეერი კვალდაკვალ მისდევდა“. თუმცა, ალექსანდრე ყაზბეგის ონისესავით „სიკვდილის მაძიებელი“ სააკაშვილიც „მოჯადოებულსავით ყველგან უვნებელი რჩებოდა“.**

**საქართველოს პრეზიდენტმა ახალი წელი ჰელმანდის პროვინციაში საგუშაგოებზე მყოფ ჯარისკაცებს სპეცკავშირის საშუალებით მიულოცა.**



**„გამარჯობათ, ბიჭებო, პრეზიდენტი სააკაშვილი მოგესალმებით... გილოცავთ“...**

**„კარგით, მე, ე. ი. პრეზიდენტი სააკაშვილი, მე მინდა, ყველას, ბიჭებს, ვინც ხართ ახლა მანდ შეკრებილები პოსტზე, მოგილოცოთ ახალი წელი, გისურვოთ ბედნიერება, წარმატება, სახლში მშვიდობით დაბრუნება“.**

ამის პასუხად კი პრეზიდენტმა მიიღო: — **„მეც გილოცავ, ძმაო“.**

ამის შემდეგ პრეზიდენტმა დანარჩენი მორიგი ზარები განახორციელა:

**— ჩარლი, გესმით ჩვენი?**

— კავშირზე ვარ.

**— კარგით, ე.ი. პრეზიდენტი სააკაშვილი... მინდა მოგილოცოთ მთელი ჩვენი ხალხის სახელით ახალი წელი, ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან ახალი წლის შეხვედრა. ძალიან ვამაყობ თქვენით.**

ჰელმანდის პროვინციაში სააკაშვილის ჩასვლასთან დაკავშირებით ამტყდარი სროლის შემდეგ კი პრეზიდენტი სხვა დანაყოფებსაც დაუკავშირდა:

**— ჩაცხრა იქ ცეცხლი, წეღან რომ გესროდნენ? წეღან რომ გესროდა მოწინააღმდეგე, ჩაცხრა ეს ცეცხლი?**

როცა პასუხად მიიღო, რომ ცეცხლი უკვე ჩაცხრა, იკითხა:

**— 122-საც ესროდნენ?**

და ამჯერად უკვე სპეცკავშირის მეორე სატელეფონო ყურმილს გადასწვდა:

**— ჩაიარა სროლებმა თქვენთან?**

— დამთავრდა, დამთავრდა, აღარ არის, — იყო პასუხი.

**— კარგით, მოკლედ, პრეზიდენტი სააკაშვილი გილოცავთ ახალ წელს. ძაან დიდი პატივია თქვენთან ერთად ბაზაზე ახალი წლის შეხვედრა...**

როგორც გაირკვა, პრეზიდენტი სააკაშვილი, თურმე, რამდენჯერმე შეხვედრია ახალ წელს შეიარაღებულ ძალებთან ერთად, შარშან ბათუმში აღუნიშნავს ახალი წლის დადგომა, ერთხელ ვაზიანის ბაზაზეც ყოფილა, მაგრამ წლევანდელი წელი მისთვის **„ყველაზე მაგარი ახალი წელი ყოფილა, ყველაზე მაგარ ქართველებთან“,** რამაც მას ათქმევინა, **„ქართველებს შორის არის ბევრი გმირი და არ ვართ ჩვენ ადვილად ხელწამოსაკრავი, ფარჩაკთა და ჯაბანთა ერი“.**

ავღანეთში ქართული მისიის თავგანწირვა მართლაც დასაფასებელია, განსაკუთრებით ამაღელვებული იყო თერჯოლელ ექიმ გოგონასთან შეხვედრა, რომელიც აგვისტოს ომში დაღუპული თავისი ძმის ნაცვლად (რომელმაც ქართული დროშის გათელვა არ იკადრა და ტყვედ ჩავარდნილი ამას შეეწირა კიდეც) წასულიყო ავღანეთის მისიაში, მაგრამ For.ge დაინტერესდა, რამდენად დამაჯერებელი იყო კამერების წინაშე პრეზიდენტის მიერ განხორციელებული ზარები ჰელმანდის პროვინციაში.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე იზიარებს იმ აზრს, რომ ამ ვიდეოკადრებმა მას განუმტკიცა აზრი, რომ სააკაშვილის ავღანეთში ჩასვლა პიარი იყო და სხვა არაფერი.

**„ჩვენ მიხეილ სააკაშვილს არ ვიცნობთ ისეთ უმაღლეს მთავარსარდლად, რომელიც ერკვევა სამხედრო საკითხებში, ანუ მას შეიარაღებული ძალების მიმართ ყოველთვის ჰქონდა მხოლოდ პიარდამოკიდებულება და მის თვალწინ შეიარაღებული ძალები, გარკვეულწილად, პარტახდებოდა კიდეც — უზარმაზარი თანხები იდებოდა ამ სექტორში და მოგება არ იყო. აქედან გამომდინარე, ერთ დღეში ავღანეთში „საბრძოლო ამოცანების თუ დავალებების გამცემი“ სააკაშვილის ხილვა, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლის მის შესახებ არსებულ პირვანდელ შთაბეჭდილებას. დასკვნა ერთია, ეს ყველაფერი ემსახურებოდა პოლიტიკურ პიარს“,** — აცხადებს გიორგი თავდგირიძე.

ამასთან, თავდგირიძე არ მალავს, რომ მისი სურვილია, საქართველოს ჰყავდეს ისეთი უმაღლესი მთავარსარდალი, რომელიც კამერების წინ არ იყელყელავებს და კამერების წინაშე პოზიორობით გულს არ გაუტეხავს ჯარისკაცებს.

მისივე თქმით, ნებისმიერი გენერლისთვის სერიოზულად აღიქმება, როდესაც უმაღლესი მთავარსარდალი საბრძოლო მოქმედებების რეგიონში იმყოფება, თუმცა, სამხედრო ლიდერი ასე, ერთი ჩასვლით ვერ იმკვიდრებს ნამდვილი ლიდერის ადგილს.

უფრო მეტიც, გიორგი თავდგირიძის თქმით, ნებისმიერი ჯარისკაცი გრძნობს, როცა გარკვეული სიყალბე, პოზიორობაა საქციელში. თუმცა, ამის მიუხედავად, იგი მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ავღანეთში მყოფი ჯარისკაცებისთვის სააკაშვილი იყო უმაღლესი მთავარსარდალი და ისინიც ზრდილობიანად, გაგებით მოეკიდნენ ამ საკითხს.

**სამხედრო ექსპერტი თეონა აქუბარდია არ მალავს, რომ ღიმილის მომგვრელი იყო ის ვიდეო, რომელიც ასახავდა პრეზიდენტის ავღანეთში ჩასვლის კადრებს და, როცა პრეზიდენტი სვამდა კითხვას, შეწყდა თუ არა ცეცხლი შუკვანის ბაზაზე?!**

მისი თქმით, სააკაშვილი იქ არ დარჩენილა რამდენიმე დღის განმავლობაში, ის მხოლოდ ახალ წელს შეხვდა ავღანეთში და შემდეგ უკვე სხვა ქვეყანაში წავიდა. ხოლო, თუ რას აკეთებდა იმ ორ დღეს, არავინ იცის.

**„იმ კადრებში იყო პიარის ელემენტები, რომ იგი, როგორც ქვეყნის მთავარსარდალი, გასცემდა ბრძანებებს შუკვანის ბაზაზე და იღებდა ინფორმაციას, თუ რა ვითარება იყო ავღანეთში. ეს იყო მისგან კიდევ ერთი მორიგი შოუ, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ის იყო ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი და სურდა ამის დემონსტრირება მოეხდინა საქართველოს მოქალაქეებისთვის. ეს ავღანელებზე არ ყოფილა გათვლილი. რა თქმა უნდა, ლოგიკურია, რომ ავღანელების სამიზნე იყო პრეზიდენტი. მით უმეტეს, თალიბებმა წინასწარ იცოდნენ, რომ იმ ქვეყნის პრეზიდენტი ჩადიოდა ავღანეთში, რომელიც ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის სამშვიდობო მისიაში რაოდენობით პირველ ადგილზეა და სააკაშვილმა ამით გაზარდა საფრთხეები ჩვენი ჯარისკაცებისთვის“,** — აცხადებს თეონა აქუბარდია.

**მარიამ ლოლაშვილი**

◉ მე ასე მწამს!

# მაღალი თუ გრძელი?

**ჩვენს პრეზიდენტს მაღალს რომ ეძახიან, ეს ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. მაღალი უფრო ფართო ცნებაა. მაღალია მთა თავისი გაშლილობით, ხეც ტოტების სიმრავლით, კაცი თავისი ადამიანური ღირსებით, შინაგანი სულიერების სიმდიდრით, სიკეთითა და სიქველით, და ასე შემდეგ. ჩვენს პრეზიდენტზე კი უთუოდ გრძელი ითქმის.**

აბა, რას ნიშნავს, მიშა ერთთავად რომ იკვეხნის, ჩემს სიმაღლეს რომ გაუტოლდნენ, ზოგიერთებს გორაზე შემოდგომა მოუწევთო, ლილიპუტინებიო და მუმიებიო, ოროსნები და წვერებიანებიო (არა მგონია, დედამიწაზე რომელიმე ცივილიზებული ქვეყნის პრეზიდენტი თუ მეთაური ასეთ სიტყვებს კადრულობდეს, ეტყობა თავისი თავი ისეთი მაღალი ჰგონია, ყველას ზემოდან უნდა დაჰყურებდეს).

გრძელი კია და ამაში ვერ შეედრები, სხვამხრივ ამ კაცს ქვეყანა როგორ უნდა ენდოს. 2002 წელს კი მართლა დავიჯერეთ, ედუარდ შევარდნაძემ ისეთი ატმოსფერო შექმნა, უკეთესის გამორჩევის თავი არც არავის ჰქონდა, ალბათ.

**მაღალი ბატონი ბიძინაა, კაცი, რომელიც უფალმა მოუვლინა ქვეყანას განსაცდელის ჟამს.** დიახ, ის მაღალია და ბევრს მისი მილიარდები კი ჭრის თვალს. მაგრამ ასჯერ მეტი მილიარდებიც რომ ჰქონოდა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ვერა და ვერ გადასწონიდა მის მამულიშვილობას, რაც მას სამშობლოსათვის თავდადებამ, ქვეყნის გადასარჩენად თავგანწირვამ მოუტანა.

მილიარდები მიშამაც მოიხვეჭაო, ამბობენ და დასაეჭვებელი არც არაფერია, რადგან ყველაფერი, რაც ქართველ ხალხს შეუქმნია, თავის მიწიან, ტყიან, მდინარეებიანად ერთნაირად ლარად გაჰყიდა და თანაც უცხოელებზე. შენობა-ნაგებობები, საკუთრება რომ წაართვა ადამიანებს, ქვეყანას, მათი რიცხვი, ალბათ, ვერც ვერასდროს დაითვლება. ჰოდა, ჩვენი ოპოზიციონერი, მიშა ოპოზიციონერი, მე რომ ავირჩიე და მე რომ განმიდგა, ხელს არ მოითბობდა და სხვებს ისე აჩუქებდა, ამას ნამდვილად ვერ დავიჯერებ.

რუსთავში ერთ-ერთი საუკეთესო, მე-19 სკოლა ლარად გადასცეს პრეზიდენტის დედას, იქიდან გამოყრილი მოსწავლეები კი სხვა სკოლებში გადაანაწილეს, ასეთი მაგალითი უამრავია, მიშამ მარტო დედას კი არა, ძმებს და ახლო ნათესავებს ჩამოურიგა, ცოლსა და ცოლოურებსაც უხვად უსაჩუქრაო, ხალხს რას გამოაპარებ. ჰოდა თვითონ რომ მილიარდერი იყოს, თავის ფულებს უცხოეთში რომ ინახავდეს, ამაში დასაეჭვებელი არაფერია, **ასე რომ, ერთი თუ მილიარდერი თავის სიმდიდრეს და სულსაც სამშობლოს სწირავს, აშენებს სამებას, აღადგენს ასობით ეკლესია-მონასტერს, თეატრებს თუ სხვას და სხვას, მეორეს პირიქით, დანგრევამდე მიჰყავს ქვეყანა და ერის გადაგვარება უპირველეს ამოცანად გაუხდია.**

საბედნიეროდ, პირველმა ოქტომბერმა ქართველ ხალხს სამართლიანი არჩევანი გააკეთებინა, რისთვისაც დიდი ბრძოლა კი გადაგვხდა, ასი, ორასი თუ სამასათასიანი მიტინგები, დაღვრილი სისხლი, ცემა და დასახიჩრება, სიკვდილი... ყველაფერი ეს, ალბათ, **ამაოდ ჩაგვივლიდა, მაღალ-გრძელი დიქტატორი ტახტს არ დათმობდა, რომ არა უფლის წყალობა, რომელმაც საქართველოს თავის დროზე, უკიდურესი განსაცდელის ჟამს, მოუვლინა ბატონი ბიძინა ივანიშვილი — ჭეშმარიტად, მაღალიც და მორჭმული გამგებიანიც.**

**გივი ჯახუა**

◉ ქრისტიანული პოეზიის მეორე ფესტივალი

# გამარჯვებულთა დაჯილდოება

**ახალი წლის წინა დღეს, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულმა ცენტრმა ქრისტიანული პოეზიის მეორე ფესტივალს უმასპინძლა.**

**ფესტივალი საზეიმოდ გახსნა სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკოს“ თავმჯდომარემ ლია დაუშვილმა. მისი ორგანიზატორები არიან, აგრეთვე, წმინდა ილია მართლის სახელობის სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ და სალიტერატურო ჟურნალი „ოლე“.**

**ლია დაუშვილის თქმით, ფესტივალზე ლექსები 121-მა ავტორმა წარმოადგინა, რომელთა შორისაც იყვნენ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც. ფესტივალის რჩეულ ლექსთა კრებულისთვის კი 50 ავტორის ლექსი შეირჩა.**

**დარბაზში მყოფმა მოწვეულმა სტუმრებმა ტაშით დააჯილდოვეს ფესტივალის მთავარი პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვრით“ გამარჯვებული პოეტები ვანო ჩხიკვაძე და მაია მიქაია.**

**პრიზით „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონით“ დაჯილდოვდნენ: მარიამ წიკლაური, ლელა ცუცქირიძე, მურად მთვარელიძე, დავით შემოქმედელი, რონა ბუზუტაიშვილი, თამარ ფარჩუკიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ცირა ყურაშვილი.**

**საორგანიზაციო კომიტეტმა ჩვენი ქვეყნის კულტურასა და ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ფესტივალის მთავარი პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვრით“ დააჯილდოვა მხატვარი რეზო ადამია და რეჟისორი რეზო ესაძე.**

**— მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის „წმინდა ანდრიას ჯვრის“ სიგელ-გუჯარით მაია მიქაია დაჯილდოვდა. პოეტ ვანო ჩხიკვაძეს კი გამომცემლობა „მინიატურის“ მიერ დაწესებული პრიზიც გადაეცა.**

**საგულისხმოა, რომ მთავარი პრიზის „წმინდა ნინოს ჯვრის“ ავტორია მარიკა მაჭავარიანი.**

**დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ გამარჯვებულმა ავტორებმა საკუთარი ლექსები წაიკითხეს.**

**სტუმრები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ კინორეჟისორ რეზო ესაძის ნახატს, რომლის შექმნაც, თურმე, ავტორის სიზმარს უკავშირდება: — ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ამ ქვეყანაში ეს ბერიკაცი. დამესიზმრა პატარა ქრისტესთან მისვლა! დიდხანს არ მიყოყმანია. გავთავხედდი და... დავხატე! აქ მოვდიოდი შინაგანი ცრემლით და შიშით, რას მეტყვიან-მეთქი ღვთის სახლში... როგორ გავბედე!.. — ლამის თვალცრემლიანი ამბობდა ბატონი რეზო.**

**ამაღლებული განწყობილებით ტოვებდნენ დარბაზს სტუმრები. მადლიერებით იხსენებდნენ ფესტივალის ორგანიზატორებს, მათ მხარდამჭერებს: საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრს, „ბილაინს“, „პალიტრა მედიას...“**

**სულიერების, თანადგომის, ურთიერთსიყვარულის წელი ყოფილიყოს 2013!**

**ლია ჭიღლაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ტარიფები

# შეგნებულად გაზრდილი დანაკარგები და სემეკის ანაბარად მიტოვებული მოსახლეობა

**ქართული ენერგოსადისტრიბუციო კომპანიები დანაკარგების მასშტაბებით, მსოფლიოს რეკორდებს ხსნიან, ანაზღაურებას კი მოსახლეობის ხარჯზე ცდილობენ. ექსპერტთა მოსაზრებით, არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია, მართლა იყო თუ არა ამხელა დანაკარგები. მათი ვარაუდით, დანაკარგების რაოდენობა შეგნებულად არის გაბერილი.** კომპანიებს ხელს აძლევთ, აჩვენონ ცრუ მონაცემები. გასული წლის მაჩვენებლებით (წლევანდელი ჯერ დაანგარიშებული არ არის), „თელასმა“ ქსელში 276 მლნ კვტ-სთ ელექტროენერგია, ანუ შესყიდულის 13,63 პროცენტი დაკარგა, „ენერგო პროჯორჯიამ“ კი – 363 მლნ კვტ.სთ, ანუ შესყიდულის 10,27 პროცენტი. საბოლოოდ გამოდის, რომ კომპანიებმა ერთად შესყიდული 6,3 მილიარდი კვტ.სთ ელექტროენერგიიდან 700 მლნ ელექტროქსელებში გააბნია.

ექსპერტ გენო მესხიას განმარტებით, სემეკისთვის კომპანიების მიერ დაკარგული კილოვატსაათების მაჩვენებელი არასწორია. მათ აწყობთ დანაკარგების მაღალი მაჩვენებელი. ეს არის წარმოუდგენელი მასშტაბები, როდესაც კომპანიის ქსელში არსებული დანაკარგები 11 პროცენტით აჭარბებს დასაშვებს.

კოლეგის მოსაზრებას იზიარებს რეზო არველაძეც. მისი აზრით, მართალია, საქართველოს ელექტროენერგიის დანაკარგების მაჩვენებელი ჯერ კიდევ არ არის შემცირებული ევროპულ დონემდე, თუმცა, არსებული ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, ეს სავსებით შესაძლებელია. ევროპაში კი დანაკარგების საშუალო მაჩვენებელი 4-6 პროცენტებს შორის მერყეობს.

ორივე ექსპერტი თანხმდება ამაში, რომ სემეკ-ს აქვს დანაკარგების გადამოწმების შესაძლებლობა, მაგრამ ამას სხვადასხვა მოსაზრებების გამო არ აკეთებს. არ არსებობს შიდა მონიტორინგის სამსახური, ექსპერტებისთვის, სპეციალისტებისთვის, საზოგადოებისთვის ინფორმაცია ხელმიუწვდომელია.

ოფიციალურად 2011 წელს საქართველომ აწარმოა 9 მილიარდ 900 მლნ კვტ სთ ელექტროენერგია. ამათგან 78,6 პროცენტი მოდის ჰესებზე, 21,4 პროცენტი – თესებზე (თბოელექტროსადგურებზე). 2005 წელთან შედარებით, საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება 44,1 პროცენტით გაიზარდა, მოხმარება კი 18 პროცენტით. ამის გამო ელექტროენერგიის იმპორტი შემცირდა 3-ჯერ, ექსპორტი კი 7,6-ჯერ გაიზარდა.

### უსუბსიდიებოდ და სემეკის შემყურე

**საქართველოში ელექტროენერგიის დიფერენცირებული ტარიფი მოქმედებს. აბონენტი თუ თვეში 100 კვტ-ს მოიხმარს, ერთ კვტ-ში 13,4 თეთრს იხდის. 101-300 კვტ.მდე 16 თეთრია გადასახდელი, 301 და მეტი – 17,7 თეთრი ექნება გადასახდელი.**

ახალი ხელისუფლება ტარიფების შემცირებაზე სერიოზულად მუშაობს. ცნობილია დიფერენცირებული ფასებიც – შესაბამისად – 10,5-13-14,5 თეთრი, ანუ ერთ კილოვატსაათი ელექტროენერგია 3-3,5 თეთრით გაიაფდება. სხვადასხვა მონაცემებით 100 კვტ-მდე ელექტროენერგიას მოიხმარს 145 ათასი აბონენტი, 101-300-მდე 160 ათასი, ხოლო სამასზე ზემოთ მოიხმარს 40 ათასი აბონენტი, ანუ მომხმარებელთა 10 პროცენტი.

თითქმის ანალოგიური სატარიფო სისტემა მოქმედებს უკრაინაშიც. იქ 150 კვტ-სთ-მდე მომხმარებელს ერთ კვტ.ში 5,6 თეთრს ახდევვინებენ, 150-დან 800-მდე აბონენტი დაახლოებით 7,2 თეთრს იხდის. 800-ის ზევით კი მომხმარებელს ერთ კილოვატსაათში 20 თეთრამდე უწევს გადახდა.

სომხეთში არის ორტარიფიანი მრიცხველები და გადასახადი საათობრივი ტარიფით განისაზღვრება. იქ გადასახადი კილოვატსაათში 8-12 თეთრს შორის მერყეობს.

აზერბაიჯანში კილოვატსაათი ელექტროენერგია 8 თეთრი ღირს.

რუსეთში მოქმედებს რეგიონალური სატარიფო სისტემა და კილოვატის ღირებულება 6 თეთრიდან 17 თეთრს არ აღემატება.

ბელორუსში აბონენტი ერთ კილოვატსაათში 5 თეთრს იხდის.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს გარდა, პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველგან ხდება ელექტროენერგიის ტარიფების სუბსიდირება. ბელორუსში მოქალაქეს გადასახადს 39,6 პროცენტით უფინანსებს, რუსეთში სუბსიდირების რეგიონალური სისტემა მოქმედებს. სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა დოზებით გახარჯული ელექტროენერგიის სუბსიდირება მოქმედებს. სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა დოზებით გახარჯული ელექტროენერგიის სუბსიდირება ხდება აზერბაიჯანში, უკრაინაში, სომხეთში და ა. შ.

შესაძლოა, ვინმე შემოგვედაოს, რომ თუ პოსტსაბჭოთა არა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ხომ ჩვენი დარი და მეტიც არის გადასახადიო. მართალია, ბულგარეთში, რუმინეთში, ლიტვაში, ესტონეთში ტარიფები 15,6 და 16,8-ს (თეთრს) შორის მერყეობს, და გადამხდელებისთვის სახელმწიფოც არ გამოყოფს სუბსიდიებს, მაგრამ ექსპერტთა აზრით, ამის უმთავრესი მიზეზია ის,




რომ ეს ქვეყნები პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთაგან განსხვავებით, შედარებით ძლიერნი არიან ეკონომიკურად და აქვთ უზუსტესი გათვლები საკუთარი მოსახლეობის გადახდისუნარიანობისა და ელექტროენერგიის რეალურ ღირებულებეაზე. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ელექტროენერგიის მისაღებად თბოელექტროსადგურებს იყენებს, რაც ერთიორად აძვირებს საბოლოო ტარიფს.

საქართველოში კი ელექტროენერგიის 85 პროცენტი საკუთარი ჰიდროსადგურებიდან იწარმოება 2003 წლიდან, როდესაც ვარდებით მოსული ხელისუფლება იფიცებოდა, რომ ტარიფი არ გაიზრდებოდა, ხოლო ყოველი გაზრდის შემდეგ იგივე სიტყვებით გვიმტკიცებდა, რომ ეს იყო ტარიფში ბოლო მატება. 2008 წლიდან ანუ, „ნაცების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქართველოში დენი 300 პროცენტით გაძვირდა.

ტარიფებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში სოსო არველაძეს. მისი აზრით, დღეს ქვეყანაში მოქმედი წესებით, თუკი აბონენტი თვეში მოიხმარს 101 კვტ-სთ-ზე მეტ ელექტროენერგიას, ტარიფის განსაზღვრა ხდება მეორე საფეხურით გათვალისწინებული ტარიფით. იგივე სიტუაციაა 301-ის ზემოთ მომხმარებლებისთვისაც. ექსპერტის თქმით, კარგი იქნება თუ მომხმარებელს ტარიფი განესაზღვრება 101 კვტ.სთ-მდე პირველი საფეხურით, ხოლო ამ ზღვარს ზემოთ მეორე საფეხურით. 301-ის ზემოთ მომხმარებელთათვის 101-მდე პირველი საფეხურით, 101-ს ზევით მეორე საფეხურით, 301-ის ზევით კი განსაზღვრული მესამე საფეხურით.

ყოველ გაძვირებას სემეკი გარემეთვალყურის როლში ადევნებდა თვალს. ასეა ახლაც, როდესაც ახალი ხელისუფლება ტარიფების შემცირებაზე მუშაობს, მარეგულირებელი კომისია უმოქმედოა და ახალმა მთავრობამ ამ არაფრისმქმნელი ორგანიზაციის პირისპირ აღარ უნდა დატოვოს ქვეყნის მოსახლეობა.

**ზაზა ბილიხოძე**

## მილოცვა

### ბატონ ვაჟა ეგრისელს!



**ძვირფასო ბატონო ვაჟა, პატივისცემითა და აღფრთოვანებით გილოცავთ დიადი გალაკტიონ ტაბიძის პრემიის მინიჭებას. საქართველოს დიდი ჭირნახული გენიოსის გალაკტიონ ტაბიძის პრემია პოეტისთვის უდიდესი ტვირთია... ტვირთი, რომელიც კი არ ქანცავს შემოქმედს, არამედ ფრთებს ასხამს უფრო დიდი შემოქმედებისთვის.**

**თქვენი პოეტური ქმნილებები არა მარტო ქართული სულიერი კულტურის, არამედ, საკაცობრიო სულიერების ლანდშაფტური განვრცობის რაციონალიზმია, ადამიანის თავის თავსა და ბუნებაში გასულიერების რელიგიაა, რომელიც მხოლოდ რწმენით გემორჩილება და გაიგება, იგი ქართული სულის ჯილდოა...**

**კიდევ ერთხელ მოგილოცავთ პოეზიის სამყაროში დიდ გამარჯვებას...**

**პატივისცემით**
**რეზო ფაჩულია**

## გამოხმაურება

# რაში – ფული?!.

**ადეკვატური ლათინურიდან წარმომდგარი სიტყვა ყოფილა და სრულ შესატყვისს, სრულ შესაბამისს ნიშნავს. არაადეკვატურობა არაა შეტანილი უცხო სიტყვათა ლექსიკონში, მაგრამ როცა ადეკვატურობა იცი, ადვილად განმარტავ: სრული შეუსატყვისობაა, სრული შეუსაბამობაა. მიხეილ სააკაშვილზე რომ ასე ხშირად ამბობენ არაადეკვატურიაო, ეს ნიშნავს, რომ იგი აბსოლუტურად შეუსაბამოა ქვეყნის პრეზიდენტობისა; და კიდევ უფრო არაადეკვატური გახდა შარშანდელი პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, თუკი „აბსოლუტურის“ იქით არსებობს „კიდევ უფრო“...**

გაზრდილი არაადეკვატურობა მან პირველივე „პოსტარჩევნებური“ განცხადებით გამოამჟღავნა, როცა პრეზიდენტისათვის სრულიად შეუფერებელი ფრაზა გაახმიანა – „ოპოზიციაში გადავდივარო“ და ამით ყველა დროისა და ყველა ქვეყნის პრეზიდენტებს შორის დაიმკვიდრა პირველობა! მას აქეთ სულ მეტად და მეტად აღრმავებს, აგერ უკვე მესამე თვეა, თავის არაადეკვატურობას.

„სრ“-ის გასული წლის ბოლო, 29 დეკემბრის ნომერში დაისტამბა წერილი „ამას ჰქვია პრეზიდენტის არაადეკვატურობა“, სადაც თავმოყრილია მიხეილ სააკაშვილის ორწლიანი (2011-2012) უგუნური, ხუშტურული თუ პიარული ხელგაშლილობის (გნებავთ, ფულფანტიაობის!) ისეთი მყვირალა და დამშოკავი ფაქტები და ციფრები, რომლებიც ჯამში ელემენტარულად წარმოდგებიან „დასჯადად“! მართლა ვაი იმ ქვეყანას, სადაც პრეზიდენტის ფონდი ამგვარი გაუმართლებელი და „საღადაო“ ღონისძიებებისთვის იქმნება, ხოლო ვუი იმ პრეზიდენტს, რომელიც ფონდს პირად სალაროდ თუ ქისად აქცევს, საიდანაც ფულს ასეთ ღონისძიებებზე მიმოაბნევს ნაცვლად იმისა, რომ ნამდვილად საჭირო და სასარგებლო საქმეებს მოახმაროს.

**ბოტი და სტინგი ვინ არიან ასეთი ან გინდაც იყვნენ, რომ 1265743 ლარი გამოუყო ბათუმში საკონცერტოდ? ბუბა ვიცით, ვინც არის – ნაცთა ეპოქამდე მართლაც სახალხო მომღერალი გახლდათ, ჩინებული კინომსახიობი და დამსახურებულად პოპულარული, ოღონდ მერე რომ ნაცური ხელოვანი გახდა, იმიტომ უნდა მიაფშვნა 327 000 ლარის ეკვივალენტი დოლარი დასავლეთ-აღმოსავლეთ ევროპასა თუ მაშრიყ-მაღრიბში საგასტროლოდ? ლელა წურწუმია, პლისეცკაიასი არ იყოს, „ასეც კაია და ისეც კაია“, ქალადაც ეშხიანია და ხმითაც, ოღონდ შემოქმედების 17 წელი რა მრგვალი, რა საიუბილეო თარიღია, რომ ფილარმონიაში ფონდიდან გამოყოფილი 50 000 ლარით აღუნიშნო? ამ გასაცოდავებულ ყოფაში, ამხელა უმუშევრობისას რა ჭაღობანა აუტყდათ ბათუმის რომელიღაც უნივერსიტეტში, რა ჭაღი იყო იმისთანა, რომ დამზადება-დამონტაჟებაში ფონდიდან 200 688 ლარი „გაირტყეს“? რონალდ რეიგანი კი, ბატონო, იყოს აშშ-ის ისტორიაში დიდი პრეზიდენტი, მაგრამ საქართველოს რა გაუკეთა თბილისში, რიყეზე 133 959-ლარიანი ძეგლის წამოსაჭიმი? (რა ვქნა, მუხრანი არ გავიხსენო? – არა გრცხვენია, მიშა, ავლაბრელო, რონალდს რა სჭირდა შენი დასადგმელი?..). გაქეთოებულ-გაკოტეებული „ქეთო და კოტეს“ დადგმათა გამრავლებას 1.250.000 მიშურ-ფონდური ლარი დასჭირვებია! რამდენია პრეზიდენტის ფონდის არხეინი განიავების ასეთი მაგალითი! 2011-ში არამიზნობრივად სულ 5.413.115 ლარია გახარჯული, 2012-ში კი, მხოლოდ 9 თვის სიგრძეზე, შვიდნახევარჯერ მეტი – 40.980.000!**

ჰოდა, აქ მივადექი ამ წერილით მთავარ სათქმელს. მედიაელებმა ერთობ ჰუმანური, კაცთმოყვარული აქცია წამოიწყეს ტელეოპერატორ დიტო ცინცაძის დასახმარებლად, რომელსაც თურმე, სიცოცხლის გადასარჩენად საზღვარგარეთ ურთულესი სამედიცინო მანიპულაციები სჭირდება. ჟურნალისტების დადებული ფულით და ლარიანი სატელეფონო ზარებით შეგროვდება კი საჭირო თანხა? სხვა შემთხვევაც რამდენია, როცა ტელეეკრანიდან მოგვმართავენ მძიმედ დაავადებულთა საშველად, ქირურგიული ჩარევა იქნება თუ თერაპიული, მცირე შეწევნის გაღების თხოვნით! ამ დროს ერთი შემთხვევა მაინც თუ ყოფილა, პრეზიდენტის ფონდს რომ გაეღო საოპერაციო-სამკურნალო ხარჯი იმდენი გადაყრილი მილიონის ფონზე? **ეგებ დიტო ცინცაძის მაგალითი გაიხადოს პირველი და გახსნას ეს სასიკეთო მიმართულება პიარზე და „ფინთიფლუშკებზე“ ფულის ფლანგვის მაგიერ. ეს იქნება მართლაც კარგი საქმე და, ღმერთმანი, საპიაროდაც გამოსადეგი...**

**ბერდია ბედოიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# 2012 წლის შედეგები: საქართველომ იზეიმა დემოკრატია და კარტ-ბლანში მისცა გამარჯვებულს

საქართველო შედის პრეზიდენტის არჩევნების წელიწადში, რომელიც პირველად უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩაივლის მიხეილ სააკაშვილის გარეშე და ხაზს გაუსვამს მისი პოლიტიკური მეტოქის, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის უფლებამოსილებათა გაფართოებას, პიროვნებისა, რომლის მეთოდებმაც გამარჯვების შემდეგ შეაშფოთა დასავლეთი და აღაფრთოვანა კრემლი.

საქართველომ მოიპოვა მსოფლიო აუდიტორიის ტაში ხელისუფლების დემოკრატიული შეცვლის წყალობით ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებზე, რომელმაც შეაჯამა პროდასავლური რეფორმატორის სააკაშვილის ათი წლის მმართველობა, მაგრამ შეაშფოთა კრიტიკოსები წაგებული გუნდის სისხლის სამართლის დევნისა და მოსკოვის მისამართით რევერანსების გამო.

ახალმა პარლამენტმა უკვე შეკვეცა ხარჯები პრეზიდენტის ოფისზე, ელექტროობასა და საერთაშორისო ვიზიტებზე, პრემიერს კი განზრახული აქვს, ჩამოართვას მას რეზიდენცია და თვითმფრინავი და დაიმორჩილოს მისი პირადი დაცვა.

ხელისუფლებამ დააპატიმრა რამდენიმე ყოფილი მაღალი რანგის ბიუროკრატი, მათ შორის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ექსმინისტრები, საქართველოს არმიის გაერთიანებული შტაბის უფროსი, ენერგეტიკისა და ფინანსთა, იუსტიციისა და განათლების ექსმინისტრები. ზოგიერთი გაათავისუფლეს გირაოთი სასამართლომდე.

„სამწუხაროდ, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში ბრძოლის შედეგებს სახელწოდებით „გამარჯვებული ღებულობს ყველაფერს“, — განუცხადა როიტერს ამერიკის კარნეგის ცენტრის დამოუკიდებელმა ანალიტიკოსმა ტომას დე ვაალმა.

მიმავალი პრეზიდენტისა და პოლიტიკური წონის შემძენი პრემიერის თანაარსებობა დასავლეთისა და მოსკოვის სიგნალების ფონზე, განსაზღვრავს საქართველოს დღის წესრიგს უახლოესი ათი თვის განმავლობაში, ამბობენ მეთვალყურეები.

სააკაშვილმა ახალ მთავრობას „ოროსანი“ უწოდა, თანამშრომელთა დევნას „აღმაშფოთებელი“, მის მოკავშირეებს პარლამენტში — პოლიტიკური. ივანიშვილის თანამებრძოლები უარყოფენ ამ ბრალდებებს და გვპირდებიან სამართლიანობის უზრუნველყოფას ყველას მიმართ.

დეკემბერში სააკაშვილი ეგრეთ წოდებული „შავი ხვრელით“ გამოიპარა შენობიდან ქუთაისში, რომელიც ივანიშვილის მომხრეებმა დაბლოკეს, ვინც მის ვადამდელ გადადგომას მოითხოვდა.

2013 წლის არჩევნების შემდეგ ძალაში შედის ცვლილებები კონსტიტუციაში, რომლებიც ძლიერ აფართოებენ პრემიერისა და პარლამენტის როლს, მაგრამ ჯერჯერობით ძირითადი კანონი ინარჩუნებს პრეზიდენტის ფართო უფლებამოსილებებს. მისი მომხრეები ამბობენ, რომ სააკაშვილს არ სურს გამოიყენოს ისეთი ინსტრუმენტი, როგორიც პარლამენტის დათხოვნაა.

ანალიტიკოსი ლოურენს შიტსი ამბობს, რომ პოლიტიკური შურისძიების წყურვილმა შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს ქვეყანას, რომელმაც საკვანძო ბაზრის — მეზობელი რუსეთის — დაკარგვის პირობებში ფსონი ჩადო მეწარმეობის განვითარებაზე და ინვესტორების მოზიდვაზე.

„ამგვარმა ინციდენტებმა შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, ეკონომიკის მდგომარეობაზე და გახდეს დაუცველობის გრძნობის გაჩენის მიზეზი“, — განუცხადა როიტერს შიტსმა.

### ღვინის ბრალი

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რომელმაც სააკაშვილს დასდო ბრალი „ჩიხისთვის“, რომელშიც შევიდა მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობანი, მიუთითა ავანსებზე საქართველოს ხელმძღვანელობას, შეგვახსენა ივანიშვილის პრორუსული ბიზნესი, რამაც მას მილიარდობით დოლარი მოუტანა.

„ჩვენ რეალურად გვინდა საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზაცია, თუმცა, ეკონომიკის თვალსაზრისით, რასაკვირველია, პირდაპირ უნდა ითქვას, საქართველო ამით უფრო მეტად არის დაინტერესებული, ვიდრე რუსეთი“, — თქვა პუტინმა დეკემბერში გამართულ პრესკონფერენციაზე და დაუმატა, რომ ხედავს „პოზიტიურ სიგნალებს“ თბილისიდან და „მზად არის უპასუხოს მათ“.

მან შეგვახსენა, რომ საქართველომ რუსეთს გზა გაუხსნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, დაგვპირდა შეასრულოს შემხვედრი ვალდებულებანი, „რაც შეეხება ქართული საქონლის დაბრუნებას რუსულ ბაზარზე“.

„ქართული ღვინო გემრიელია, ვერაფერს იტყვი“, — დაუმატა პუტინმა ქართული ექსპორტის ძირითად საქონელზე, რომლისთვისაც რუსეთმა ექვსი წლის წინათ დაკეტა თავისი ბაზარი ხარისხისადმი პრეტენზიის საბაბით.

დე ვაალი კარნეგის ცენტრიდან აკეთებს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების პროგნოზს ვაჭრობისა და ბიზნესის სფეროში.

„ველოდები ბორჯომისა და ქართული ღვინის დაბრუნებას რუსეთის ბაზარზე უკვე გაისად“, — თქვა ანალიტიკოსმა.

რუსი მილიარდერის მიხაილ ფრიდმანის ქვეშ მყოფმა ჯგუფმა განაცხადა ბორჯომის მწარმოებლის საკონტროლო პაკეტის შესყიდვის შესახებ. გარიგების ღირებულებამ შეიძლება დაახლოებით 300 მილიონი შეადგინოს.

ახალმა პრემიერმა დაგმო რუსეთში ოლიმპიადა-2014-ის ბოიკოტის იდეა და დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი მოსკოვთან ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში.

მაგრამ თბილისი არ აპირებს უარი განაცხადოს თავის მიდრეკილებაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ივანიშვილი დაგვპირდა, გააგრძელოს კრემლის გამღიზიანებელი სააკაშვილის კურსი ნატოსთან ინტეგრაციაზე და აირჩია ბრიუსელი, სადაც იმყოფება მისი პირველი საზღვარგარეთული ვიზიტის შტაბ-ბინის ბლოკი.

„როდესაც საკითხი შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, თბილისიც და მოსკოვიც ძველებურად იცავენ შეუთავსებელ პოზიციებს და მე არ ველოდები, რომ საქართველოს ახალი მთავრობა წავა დათმობაზე ამ ტერიტორიების სუვერენიტეტის საკითხში“, — თქვა დე ვაალმა.

REUTERS

# იცვლება თუ არა პოლიტიკის ღერძი საქართველოსა და სომხეთში?

კავკასიაში, წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნების გამო, საშინაო პოლიტიკაში შექმნილმა დაძაბულობამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზეც იქონია გავლენა. აზერბაიჯანშიც კი, რომელიც თითქოს ამ ქვეყნებს შორის ყველაზე სტაბილურია, ათზე მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მთავრობის წინააღმდეგ ხმის ამოღება შეძლო, ხოლო დისიდენტი პოლიტიკოსები პროცესებზე უპრეცედენტო გავლენას ახდენენ და გარე სამყაროს საკუთარ გზავნილებს ატყობინებენ.

მაგრამ პოლიტიკური კრიზისი საქართველოსა და სომხეთში იმაზე მიგვანიშნებს, თუ როგორ და რა სფეროებში შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან დემოკრატიული ფასეულობები.

ქართველმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც ამას წინათ, 2012 წლის დემოკრატიული არჩევნების შემდეგ გადასცა ძალაუფლება ახალ მთავრობას, ქვეყნის ვესტერნიზაციისთვის ბევრი რეფორმა განახორციელა, მაგრამ ამ რეფორმატორმა ლიდერმა მოსახლეობის უკმაყოფილება დაიმსახურა, რადგან ცხოვრების დონე ხელშესახებად არ გაუმჯობესებულა. ქვეყნის ახალმა ლიდერმა, ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტი იმით მოიპოვა, რომ არჩევნებში მეზობლებთან გაწონასწორებული ურთიერთობისა და ხალხის კეთილდღეობის პირობა დადო. მას შემდეგ, რაც ის თანამდებობაზე მოვიდა, ივანიშვილი მისდევს ძველი მთავრობის წევრების, სააკაშვილთან დაახლოებული ათობით პოლიტიკოსისა და ჩინოვნიკის დაპატიმრების პოლიტიკას, ხოლო საზოგადოება სახელმწიფო აპარატის შემომტკიცების მისეულ ამ მცდელობას მიესალმება. მიუხედავად იმისა, რომ დასავლელმა ხელისუფლებებმა დაგმეს ასეთი მოქმედება, როგორც არადემოკრატიული, ისინიც დიდად არ იმაღლებენ ხმას. უფრო მეტიც, ივანიშვილი მალევე შეუდგა საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციას და, როგორც ჩანს, საშუალოვადიან პერსპექტივაში ის ამ მიზანს მიაღწევს.

მას შემდეგ, რაც დიალოგს რუსეთთან მწვანე შუქი აუნთეს და განაცხადეს, რომ მესამე ქვეყნის შუამავლობით შეუძლიათ მოლაპარაკებების დაწყება, პირველი შეხვედრა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან ჟენევაში უკვე შედგა. ამ შეკრებას რუსეთში საქართველოს სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის სახელმწიფო მდივნისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დიმიტრი კარასინს შორის, რუსეთი მიესალმა და ორივე ქვეყანა იმაზე შეთანხმდა, რომ პირველ რიგში განამტკიცებენ სავაჭრო ურთიერთობებს. რუსეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ურთიერთობები გაუმჯობესდება თანდათან და თუ ტენდენცია გაგრძელდება, მათ შეიძლება შეცვალონ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული განწყობები. და, მართლაც, რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციას ივანიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. განსხვავებით წინა მთავრობისაგან, მან გამოაცხადა, რომ საქართველო მთლიანად უჭერს მხარს 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. მან ასევე განაცხადა, რომ მზადაა, გახსნას აფხაზეთის რკინიგზა. საქართველოს სოჭის ოლიმპიური თამაშების ინიციატივა, აფხაზეთის რკინიგზისადმი მისი დამოკიდებულენა მხოლოდ სომხეთს ახარებს, მაგრამ აშფოთებს რეგიონის სხვა ქვეყნებს — აზერბაიჯანს, თურქეთსა და აფხაზეთს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ საქართველოს განზრახული აქვს რუსეთთან ახლო ურთიერთობის დამყარება რეგიონის სხვა ქვეყნებისა და ადმინისტრაციების განაწყენების ხარჯზე.



საქართველო ვალშია სააკაშვილთან თავისი ევრო-ატლანტიკური ვექტორის გამო. მიუხედავად პრემიერ-მინისტრის მცდელობისა, სააკაშვილის მომხრე ჩინოვნიკების წმინდა მოაწყოს და ქვეყანა რუსეთისკენ წაიყვანოს, სააკაშვილი განაგრძობს პოზიტიური პროდასავლური მესიჯების გაგზავნას.

### სომხეთში დემოკრატიას თრგუნავენ

თებერვალშია დანიშნული პრეზიდენტის არჩევნები სომხეთში, რამაც ერთმანეთის პირისპირ ბევრი პოლიტიკოსი დააყენა. იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელიც სომხეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვართან ოსკანიანმა დააფუძნა და რომლის პოლიტიკურმა გავლენამ ამ ბოლო დროს ბევრი შეაშინა, თაღლითობის ბრალდებით, ცილისმწამებლური კამპანია დაიწყო. მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია გააძევეს პოლიტიკური სცენიდან, ოსკანიანის ძალაუფლება მისი ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე ძალიან შემცირდა, ამ დროს კი კონკურენცია სხვა პოლიტიკოსებს შორის გრძელდება. ასევე სომხეთის პარტიის მდიდარმა ლიდერმა გაგიკ ცარუკიანმა, ქვეყნის ერთ-ერთმა წამყვანმა ოლიგარქმა, თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის არჩევნებში მოხსნა, როგორც ამბობენ, შანტაჟის გამო. მსგავსად ამისა, ბევრი სხვა პოლიტიკოსი ზემოქმედების ქვეშ არის და თავისუფლად ვერ გამოხატავს თავის მოსაზრებებს. ამ პოლიტიკოსების ყველაზე აღსანიშნავი გამაერთიანებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი მხარს უჭერენ სომხეთის ეფექტიანი ურთიერთობებს მეზობლებთან და სურთ თავისი ქვეყანა რუსეთის გავლენისგან გაათავისუფლონ. როგორ ჩანს, წრე იმ ადამიანებისა, რომლებიც status quo-ს შენარჩუნებას უჭერენ მხარს, პრევალირებს, როგორც ყოველთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიის თვალსაზრისით გაუმჯობესებას არ უნდა ველოდეთ. არსებულ სისტემას ერევანში, რომელშიც ცალკეული პოლიტიკოსები და ოლიგარქები მონაწილეობენ, საბოლოო სიტყვა ეთქმის როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკაში. ამ სისტემის ავტორები სულ უფრო ზრდიან პერსონალურ მოგებას და ვერ მართავენ ქვეყნის ეკონომიკას წარმატებით.

ახალი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში, რეგიონის ქვეყნებში მომხდარ ცვლილებებს, მათ შორის ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებას, ევრაზიის კავშირის შექმნისთვის რუსეთის მიერ გაწეულ ძალისხმევას, მთიანი ყარაბახის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს და რეგიონის ქვეყნების პოლიტიკას დასავლეთთან მიმართებაში, სომხეთის პოლიტიკური გეზის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. გარდა სომხეთის დამოკიდებულებისა რუსეთზე, ყურადღებით უნდა გაანალიზდეს ის პოზიტიური მესიჯებიც, რომლებიც ქვეყანამ გაუგზავნა ნატოსა და ევროკავშირს. უფრო მეტიც, სომხეთის ახალი პრეზიდენტის ვადა 2015 წლამდე გაგრძელდება, ამიტომ ახალი პრეზიდენტის პოზიცია თურქეთთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანია.

TODAYS ZAMAN

## დედამიწის ზურგზე

### უკრაინელი ჟურნალისტის ბინაში, ვინც გამოააშკარავა აზაროვი და იანუკოვიჩი, „ხოჭო“ აღმოაჩინეს

პოპულარული უკრაინული გაზეთის „ექსპრესის“ ჟურნალისტმა ტარას ზოზულინსკიმ თავის ბინაში აღმოაჩინა მოწყობილობა ინფორმაციის გაუმჟღავნებელი გადაღებისთვის. ინციდენტამდე რამდენიმე ხნით ადრე მან გამოაქვეყნა გამომააშკარავებელი მასალა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის აზაროვისა და პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის მონაწილეობის შესახებ ყირიმის სანაპიროზე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ჩრდილოვან გარიგებაში.

### კალმარი-მონსტრი პირველად გადაიღეს ვიდეოზე იაპონელმა მკვლევარებმა

იაპონური ტელეარხის „ენ-ეიჩ კა“-ს და ამერიკული ტელეარხის „დისქოვერი ჩენელის“ გადამღებმა ჯგუფმა შეძლო, აღებეჭდა უზარმაზარი კალმარი თავის ბუნებრივ გარემოში — ოკეანის სიღრმეში. მკვლევარების წინაშე წარმოჩნდა ზღვის სასწაულების შესახებ ლეგენდებიდან გაცოცხლებული ცხოველი.

### ობამამ დაასახელა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ხელმძღვანელისა და აშშ თავდაცვის მინისტრობის კანდიდატები

თავდაცვის მინისტრობას სახელმწიფოს მეთაური სთავაზობს ყოფილ სენატორს, რესპუბლიკელ ჩაკ ჰეიგელს, დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს უფროსობას — პრეზიდენტის ამჟამინდელ მრჩეველს ტერორიზმთან ბრძოლაში ჯონ ბრენანს. ადრე სწორედ მათ მიიჩნევდნენ ექსპერტები ამ თანამდებობებზე ყველაზე სავარაუდო პრეტენდენტებს.

### დეპარდიემ განმარტა: ის „დარჩება ფრანგად“ და სურს, რუსეთის მოქალაქეობას დაუმატოს ბელგიისაც

მსახიობმა განაცხადა, რომ უარი თქვა საფრანგეთის პასპორტზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრის სიტყვების გამო, რომელმაც მას „მხდალი“ უწოდა იმ გამოთქმასთან დაკავშირებით, რომ განზრახული აქვს, გადასახლდეს მეზობელ ბელგიაში. მაგრამ იდეას — მიიღოს ორმაგი მოქალაქეობა, ჟერარ დეპარდიე ძველებურად არ თმობს.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ⓞ გაცოცხლებული წარსული

# „კოტე მარჯანიშვილი“ მარჯანიშვილის თეატრში



**კოტე მარჯანიშვილის დაბადების 140-ე და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დაარსების 85-ე წლისთავთან დაკავშირებით, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გაიმართა დრამატურგ გურამ ბათიაშვილის ახალი პიესის საფუძველზე განხორციელებული დადგმა „კოტე მარჯანიშვილი“. იგი ემოციურად ასახავს დიქტატორული რეჟიმის პირობებში მოღვაწე დიდი ქართველი ხელოვანის ტრაგიკულ ხვედრსა და მსახიობთა მარად უცვლელ, უკომპრომისო, მუდამ ტრანსფორმაციისაკენ მიდრეკილ, დაეჭვებულსა და მოჯანყე ხასიათს.**

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორები ლევან წულაძე და დიმიტრი ხვთისიაშვილი სცენაზე ქმნიან XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში განვითარებულ პროცესებს, დედაქალაქის თეატრალურსა თუ პოლიტიკურ კულუარებში მიმდინარე კონფლიქტების ამსახველ სცენებს. წარმოდგენამ უჩვენა რუსთაველის თეატრის მიღმა დარჩენილი ქართული თეატრის რეფორმატორის მიერ „ქუთაის-ბათუმის“ თეატრის სახელწოდებით ფორმირებული და შემდგომ საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრად, მოგვიანებით კი მარჯანიშვილის თეატრად სახელდებული კოლექტივის ჩამოყალიბების ისტორია. მას კი, როგორც ცნობილია, უკავშირდება თავად კოტე მარჯანიშვილისა და მის თანამოაზრეთა ახალგაზრდული დასის მოღვაწეობის ყველაზე სახელოვანი შემოქმედებითი პერიოდი, ქართველ რაპპელთა მიერ დიდი ხელოვანის ინდივიდუალობის წინააღმდეგ ინსპირირებული კამპანია. მათი ბრალდებით ეს წლები წარმოადგენდა კოტე მარჯანიშვილის მიერ ბურჟუაზიული ანუ ე.წ. ფორმალისტური თეატრალური ესთეტიკის ფორმირების პერიოდს, დიდი რეჟისორის შემოქმედებითი კრიზისის ხანას.

მხატვარ შმაგი სავანელის მიერ შექმნილი სცენოგრაფია უმთავრესად მსახიობებს უთმობს სცენურ სივრცეს და ძუნწი დეტალებით ქმნის ეპოქის ყველაზე მთავარი ნიშნებით გამომსახველ ატმოსფეროს. დარბაზს გადმოსცქერის რკინის მაღალ კონსტრუქციებზე დამაგრებული კომუნისტური ეპოქის ბელადების მასობრივი მასშტაბის საყოველთაოდ ცნობილი ფოტოსურათები. სცენა უხვადაა განათებული სისხლისფერი ჭავლით. მსახიობების კოსტიუმები სტილიზებულია ორი საუკუნის ტენდენციების მინიშნებებით (კოსტიუმების მხატვარი – ნინო სურგულაძე). ზურაბ გაგლოშვილის მუსიკალური გაფორმება და გია მარღანიას ქორეოგრაფია გაჯერებულია XX საუკუნის ყველაზე დრამატული პერიოდის სულისკვეთების გამომსახველი საცეკვაო, მუსიკალური და სასიმღერო კუპლეტებით.

მარჯანიშვილის თეატრის დასის საშუალო თაობა ესწრაფვის, შექმნას კოტე მარჯანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული თეატრის მსახიობ-ვარსკვლავთა მთავარი ბირთვის ხასიათები. დამდგმელი ჯგუფის მიზანი არ არის, შექმნან მოდერნული ეპოქის მარჯანიშვილის თეატრის დამფუძნებელთა პორტრეტული მსგავსება. მათი ამოცანაა, წარმოაჩინონ ქართული თეატრის რეფორმატორის თანამებრძოლთა მიზანსწრაფვები.

წარმოდგენაში კოტე მარჯანიშვილის როლს აკაკი ხიდაშელი განასახიერებს. მსახიობი ქმნის მკაფიო, თითქმის უტრირებულ მხატვრულ სახეს საკუთარ პროფესიაზე ფანატიკურად შეყვარებული და მიზანსწრაფული ინტელექტუალისა. ა. ხიდაშელის კოტე მარჯანიშვილი ახალი თეატრის შექმნისათვის მებრძოლი, თანამოაზრეთა მტკიცე გუნდის შესაკავშირებლად მოღვაწე ენთუზიასტი და მეამბოხეა. იგი თეატრალურ ხელოვნებას განიხილავს ბრძოლის ველად, რომელმაც უნდა შეძლოს ერისათვის ამ კრიტიკულ წლებში გაამხნევოს მაყურებელი, დაიცვას მაღალი ღირებულებები, გამოაფხიზლოს საზოგადოება, აამაღლოს აზროვნების დონე და მიაღწიოს დამკვიდრებულ პოლიტიკაზე თუნდ მცირედი ზეგავლენის მოხდენას მაინც.

ეკა ჩხეიძისეული ვერიკო ანჯაფარიძის სახე ვიზუალურად სრულიად განსხვავებულია პროტოტიპისაგან. მსახიობი ქმნის ქართული თეატრის დიდი მსახიობის მარად დაუკმაყოფილებელ, ახალი გამომსახველობითი ხერხების, ახალი როლებისა და წარმატებებისათვის მებრძოლი შემოქმედის მახასიათებელ შტრიხებს. ეკა ჩხეიძის სხივიანი თვალები, ავაზასავით მოქნილი სხეული, მას გარკვეულწილად ანათესავებს გასული საუკუნის უკომპრომისო, არცთუ იშვიათად მოჯანყე და სკანდალური პიროვნების, დიდი ვერიკოს ხასიათთან, მის უმთავრეს თვისებებთან. ეკა ჩხეიძე თამაშობს შეუპოვარ, ექსპრესიულ, მიზანდასახულ, აქტიურ და აგრესიულ პიროვნებას, საკუთარი საშემსრულებლო ხელოვნების სრულყოფისათვის მებრძოლი მსახიობის როლს.

კოტე მარჯანიშვილის თეატრის მეორე მთავარ პროტაგონისტს უშანგი ჩხეიძეს დიმიტრი ტატიშვილი წარმოსახავს. ისიც წარმოგვიდგენს გასული საუკუნის ლეგენდარული მსახიობის იმ უმთავრეს თვისებებს, რაც გამოარჩევდა მას კოლეგებისაგან.

დიმიტრი ტატიშვილის უშანგი ჩხეიძე ინფანტილური, თავდადებული, დამყოლი მხატვრული სახეა. იგი ახალი და წარმატებული როლების ტრფიალით განწყობილი მუდამ ამჟღავნებდა შინაგან მზაობას ხელსაყრელ მომენტში უმალ გაელო მსხვერპლი და დაუშურვებლად გახარჯულიყო.

ლიკა ქობულაძე ფრანგული შარმით განასახიერებს პარიზის კონსერვატორიის კურსდამთავრებულ თამარ ვახვახიშვილს, კოტე მარჯანიშვილის არაერთი საეტაპო სპექტაკლის თანამონაწილე კომპოზიტორსა და ერთგულ თანამოაზრეს. მსახიობი ქმნის მოხდენილი, კეთილშობილი ქალბატონის პორტრეტს. იგი დიდებული პარიზიდან, მოდერნული ხელოვნების ამ ეპიცენტრიდან დაბრუნებული, დიდი რეჟისორის უნაპირო ფანტაზიით შთაგონებული ილვწოდა საქართველოში ევროპული ხარისხისა და მასშტაბის ეროვნული თეატრის შესაქმნელად.

წარმოდგენა გაჯერებულია მარჯანიშვილის თეატრის დამფუძნებელ სახელოვანი მსახიობ-ვარსკვლავთა ბირთვის პორტრეტებით. მაყურებელი ეცნობა კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლებში ქალთა გმირულ-ჰეროიკული სახეების ტრიუმფალურ განმსახიერებელ მანანა კოზაკოვას თამარ ჭავჭავაძეს, ნინო დუმბაძის ელენე დონაურს, ვარლამ კორშიას შალვა ღამბაშიძესა და სხვებს. თითოეული მათგანი წარმოსახავენ მსახიობთა უმთავრეს ნიშანს, რაც იდენტურია თითქმის ყველა დროის დიდი, საშუალო თუ მოკრძალებული ნიჭის მსახიობთათვის. მათ მუდამ გამოარჩევთ უაღრესად კონტრასტული, ურთიერთგამომრიცხავი, არაპროგნოზირებადი ხასიათები, – პოეტურობა და პროზაულობა, ერთგულება მხოლოდ მომავალი როლის, სავარაუდო წარმატებისადმი.

ზურაბ ბერიკაშვილის დოდო ანთაძე განასახიერებს კოტე მარჯანიშვილის ერთგული თანამებრძოლიდან პრეტენზიულ მოღვაწედ ტრანსფორმირებულ სახეს. იგი ხელსაყრელ მომენტში უსწრაფესად იკავებს ქართული თეატრის რეფორმატორის ადგილს. დრამატურგი და სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი ნიკა კუჭავას ბესო ჟღენტისა და ანა სანაიას კრიტიკოსი ქალის სახით წარმოგვიდგენენ თეატრის კრიტიკოსების როლს მიმდინარე კონფლიქტის მსვლელობაში.

სცენაზე იქმნება ქართული თეატრის მარად უჩინარ მსახურთა განზოგადებული, იუმორით აღსავსე და სევდიანი სახეებიც. ქეთი ცხაკაიას მაყვალა, ეკა მჟავანაძის ნინელი, ონისე ონიანის მიტო, დავით ხურცილავას გედეონი, მარჯანიშვილის თეატრის დამფუძნებელ მსახიობ-ვარსკვლავებთან ერთად ერთგულად, უანგაროდ და დიდი სიყვარულით მსახურებდნენ მათთვის უძვირფასეს თეატრალურ მუზას.

ახალგაზრდა მსახიობების წყვილი ეკა მახარობლიშვილი და გოგი გუგუჩია, რომლებსაც სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი პირობითად მოიხსენიებს გოგოსა და ბიჭის სახელით, სპექტაკლის ერთგვარი კომენტატორის ფუნქციას ასრულებენ. დამწყები მსახიობები ეპოქის უმთავრესი ჰიტის კუპლეტებით, სტილიზებული საცეკვაო ნომრებით, მოქმედი პირებისადმი თამამად გაცხადებული ცალკეული ირონიული გამოხედვებით რეაგირებენ და გამოხატავენ საკუთარ, ანუ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას მრისხანე 37-იანი წლების წინამორბედი მოვლენებისადმი.

ზაზა გოგუაძის, გურამ ჯაშის, მაია ფაჩუაშვილის, მაია კაციტაძის მიერ წარმოდგენილი პარტმუშაკების პირქუში სახე-ნიღბები ლაკონურად სახავენ გასაბჭოებულ საქართველოში დამკვიდრებული პოლიტიკური ამინდის ავტორთა პორტრეტებს. სპექტაკლის მსვლელობისას კომუნისტური ბანაკის მშენებელთა ადგილობრივი სატელიტები თუ მათი ერთგული თანამებრძოლები, სწრაფი და მოჩვენებითად საქმიანი ნაბიჯებით გადაკვეთენ ხოლმე სცენას, უეცრად „ამოცენდებიან“ ავანსცენის ლუკიდან და სისხლისფერ მაუდგადაფარებულ მაგიდასთან საიდუმლო სერობისთვის ემზადებიან. ტყავის პიჯაკებსა და მაღალ ჩექმებში გამოწყობილი, ამაყად წელგამართული, მარად კოპებშეყრილი ჩინოსნები ცდილობენ, მკაცრად მოიგერიონ თეატრის დაფინანსებისათვის წვეულ მოღვაწეთა მოკრძალებული თხოვნები. თეატრალური ხელოვნებისადმი სკეპტიკურად განწყობილი ეს პარტიული ნომენკლატურა აგრესიულად უპირისპირდება მაღალი ხელოვნების მსახურთა დაუმორჩილებელ გუნდს. სპექტაკლი გადამდები ემოციით წარმოაჩენს თეატრალურ ხელოვნებასთან ღია თუ ფარულ ბრძოლაში მარად ჩართული პოლიტიკური სპექტრის პოზიციას კრიტიკული აზრის, გამორჩეული ინდივიდუალობის, მკაფიო პიროვნების, მრავალაზროვანი და დამოუკიდებელი ხელოვნებისადმი.



**თამარ ქუთათელაძე,**
**ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი**

ⓞ ამას თვითონ ცხოვრება ითხოვს

## ცეკავშირელები საგანგებო ყრილობას იწვევენ

**ჩვენ** ცეკავშირის წევრი – დამფუძნებელი კოოპერატივების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები, ვაცნობიერებთ რა სამომხმარებლო კოოპერატივების როლს და მნიშვნელობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ვაცხადებთ, რომ დღეისათვის სამომხმარებლო კოოპერაცია სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებს ჩართვას სოფლის აღორძინების სამთავრობო პროგრამის განხორციელებაში. ნდობადაკარგული მართვისა და კონტროლის ორგანოების უფლებამოსილების ვადაც ამოწურულია. ვიწვევთ საგანგებო ყრილობას, რომელიც ჩატარდება 2013 წლის 30 იანვარს, 14 საათზე, თბილისში, კლასიკური გიმნაზიის დარბაზში, რუსთაველის გამზ. 10, შემდეგი დღის წესრიგით:

1. ცეკავშირის სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ.
(საკოორდინაციო საბჭო).
2. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ამოქმედება-განვითარებისა და სახელისუფლო მხარდაჭერის 2013-2014 წლების მიზნობრივ-კომპლექსური პროგრამის შესახებ.
(საკოორდინაციო საბჭო).
3. ცეკავშირის წესდებაში ცვლილებების შესახებ.
4. ცეკავშირის მართვისა და კონტროლის ორგანოები (საბჭო, სარევიზიო კომისია, გამგეობა) არჩევნები.

დამფუძნებელ კოოპერატივებს ეძლევათ რეკომენდაცია ყრილობაზე დაინტერესებულ მეპაიეთა წარმომადგენლების მოწვევის შესახებ.

ყრილობის მომზადება-ჩატარების ორგანიზაციას განახორციელებს საკოორდინაციო საბჭო: თემურ ალანიას, დავით ალექსიძის, ელგუჯა ბერაძის, ელისაბედ გოგიძის, რომან გობრონიძის, მზია ებრალიძის, ზაალ თვალიაშვილის, ევგენი ჟვანიას, რევაზ სანდროშვილის, ანზორ ქუთათელაძის, თამაზ ქურიძის, ჯემალ ცარციძის, მამია ჭუმბურიძის, მიხეილ ჯანელიძის, სულხან ხარაზიშვილის, ნაირა ხუციშვილის შემადგენლობით.

ცეკავშირის დამფუძნებელი კოოპერატივების წარმომადენლობაზე უფლებამოსილი პირები: აჭარა – ჯ. მალაყმაძე, აფხაზეთი – გ. ცქვიტარია, ამბროლაური – კ. რატიანი, თბილისი – მ. ებრალიძე, ბოლნისი – ვ. კაპანაძე, გარდაბანი – რ. რაჭველიშვილი, დედოფლისწყარო – თ. მათეშვილი, ვანი – ა. ძაგნიძე, სიღნაღი – ბ. ჯოხარიძე, ოზურგეთი – ი. კალანდარიშვილი, სამტრედია – გ. შარაშენიძე, ახალქალაქი – ხ. ტანაკანიანი, ასპინძა – რ. მაგრაქველიძე, ახალციხე – რ. დონაძე, ადიგენი – გ. ფარულავა, აბაშა – ი. ჯიბლაძე, ახალგორი – გ. საბიაშვილი, ახმეტა – ო. ნონიაშვილი, ბაღდათი – მ. ფულარიანი, დუშეთი – ო. მჭედლიშვილი, დმანისი – მ. ვიბლიანი, ზესტაფონი – დ. გეწაძე, ზუგდიდი – ვ. თოფურია, თელავი – ზ. საჩიშვილი, თერჯოლა – მ. რობაქიძე, თიანეთი – ც. ხისფეხიშვილი, კასპი – ჯ. ჩალაშვილი, ლაგოდეხი – ჯ. ეგეტაშვილი, მარტვილი – ზ. დანელია, მცხეთა – ზ. თვალიაშვილი, ნინოწმინდა – გ. მგდესიანი, საგარეჯო – თ. კვლიშვილი, საჩხერე – დ. ცუცქირიძე, სენაკი – ვ. თოლორდავა, ტყიბული – მ. ჯანელიძე, ყვარელი – კ. სეფაშვილი, ყაზბეგი – მ. ჩოფიკაშვილი, ჩხოროწყუ – რ. ხორავა, წალკა – მ. ფხალაძე, წყალტუბო – ვ. გიორხელიძე, ჭიათურა – ზ. წიგნაძე, ხაშური – პ. ბარბაქაძე, ხონი – ბ. უგულავა, ფოთი – კ. ღვანია, კოჯორი – ვ. ტოტოღაშვილი, მანგლისი – ნ. ალთუნაშვილი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წყალბურთი

# დღეს „ოლიმპიკში“



**საქართველოს სამგზის ჩემპიონის „ლიგამუსი-თბილისის“ წყალბურთელები პირველად მონაწილეობენ ჩემპიონთა ლიგაში, თანაც მხოლოდ საკუთარი რესურსებით, ამიტომაც დებიუტანტები, რომლებსაც სახელოვანი ქართველი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე წვრთნის, ჯერჯერობით წარმატებას ვერ აღწევენ.** განვლილ 6 ტურში მათ ხუთი მატჩი წააგეს (უნგრეთის „ეგერთან“ გადადებული ორთაბრძოლა წლეულს გაზაფხულზე გაიმართება), თუმცა გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ გათამაშებას ნულოვანი შედეგით არ დაასრულებენ. პირველი ქულების მოპოვებას ისინი ერთ-ერთ აუტსაიდერთან – ჰანოვერის (გერმანია) „ვასპო-98“-თან გეგმავენ. გასვლითი მატჩი ჩვენმა ბიჭებმა ალემანებთან 5:7 (1:2, 0:2, 1:0, 3:3) დათმეს და რევანშის აღებას დღეს „ოლიმპიკის“ აუზში შეეცდებიან.

**A ჯგუფში დღესვე ითამაშებენ:** „ეგერი“ (უნგრეთი) – „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი), „შუურმანი“ (ჰოლანდია) – „ვულიაგმენი“ (საბერძნეთი). **სატურნირო მდგომარეობა კი ასეთია:** „ვულიაგმენი“ – 18 (83:29), „სპარტაკი“ – 15 (69:37), „ეგერი“ – 9 (61:36), „შუურმანი“ – 6 (38:71), „ვასპო-98“ – 3 (27:69), „ლიგამუსი“ – 0 (30:66). მომდევნო ეტაპზე ჯგუფიდან 4 საუკეთესო გავა.

**ლაშა დიდია**

ჭიდაობა

# ჭაბუკებს ბაქო გამოცდის

**წლეულს ჭაბუკ მოჭიდავეებს მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ელით: 18-23 ივნისს მონტენეგრო ევროპის პირველობას უმასპინძლებს, ხოლო 20-25 აგვისტოს სერბეთში მსოფლიოს პირველობა გაიმართება. ამ ტურნირებისთვის მზადება ჩვენმა ბიჭებმა ჯერ კიდევ შარშან დაიწყეს, მაგრამ წლის მიწურულს სხვადასხვა მიზეზით ასპარეზობებზე ვერ წავიდნენ და საშეჯიბრო გამოცდილება აკლიათ.** დანაკლისის შევსებას ისინი წლეულს შეეცდებიან. თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გუშინ ბაქოს გაემგზავრნენ. აზერბაიჯანის დედაქალაქში 10 იანვრიდან ყარაბაღის ომში დაღუპული ეროვნული გმირის – მუშვიგ ისაევის მემორიალი დაიწყება. ასპარეზობაში მასპინძლებთან ერთად ქართველები, რუსები და უზბეკები მოსინჯავენ ძალებს. ბაქოში ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თამაზ ბენდიაშვილმა 12 სპორტსმენი წაიყვანა. მათგან 10 (ალექსანდრე კილაძე – 42 კგ, შმაგი თოდუა – 46, გიორგი პასიკაშვილი – 50, გოჩა ყიფშიძე – 54, ტარიელ მიდელაშვილი – 58, ედუარდ ნიკოლიშვილი – 63, ტარიელ გაფრინდაშვილი – 69, მურად თოფჩიშვილი – 76, ლევან ბოჭორიძე – 85 და გივი მაჭარაშვილი – 100) ფედერაციამ დააფინანსა, 2 (ლევან ნიპარიშვილი – 50 და გიორგი ყაზარაშვილი – 54) კი საკუთარი ხარჯით წავიდა.

**გივი გაგუა**



თაოზა

# ვერცხლით – „ქომერს ქაფიდან“

**1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა გუნდმა, რომელიც „თბილისის“, „ლიგამუსისა“ და „ივერიის“ წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული, ამერიკის შეერთებული შტატების ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მოსინჯა ძალები. შეჯიბრებას ლოს ანჟელესთან ახლოს ქალაქ ქომერის კოლეჯმა უმასპინძლა.** მთავარი პრიზისთვის ჩვენებურებთან (ირაკლი რაზმაძე, გიორგი კუჭუხიძე, ანდრია ბითაძე, რეზი იმნაიშვილი, დავით რევია, ლევან მოსეშვილი, ლუკა ნიკოლეიშვილი, ლუკა გელაძე, გიორგი რაზმაძე, ირაკლი მარგველაშვილი, ვახტანგ კუცია, კოტე კოტია, ვაჟა ფურცელაძე, მთავარი მწვრთნელი ირაკლი ბაქრაძე, „თბილისის“ კლუბის პრეზიდენტი ლევან ბერიშვილი) ერთად ამერიკის, ვენესუელის, მექსიკის და უნგრეთის ახალგაზრდა წყალბურთელები იბრძოდნენ – სულ 32 გუნდი. ქართველებმა „ქომერს ქაფზე“ (ასე ერქვა ტურნირს) ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოიგეს და მხოლოდ ერთი მატჩი დათმეს მასპინძელი კოლეჯის გუნდთან – 6:7, ისიც მიკერძოებული მსაჯობის გამო და მეორე ადგილი დაიკავეს.

ჩვენი გუნდი ქომერიდან ლასვეგასს ეწვია. იქ საწვრთნელ შეკრებაზე ჩასულ ბრაზილიელ თანატოლთა ორ ნაკრებს სძლია, შესაბამისად, 13:9 და 12:6, მერე მასპინძლებიც დაამარცხა – 18:9. როგორც ირაკლი ბაქრაძემ გვითხრა, 2010 წლიდან ამერიკის კოლეჯებში წყალბურთს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ყველა სასწავლებელს ჰყავს გუნდი, მწვრთნელებად სერბი და ხორვატი სპეციალისტები ჰყავთ ჩაყვანილი.



რაც შეეხება ახალგაზრდა ქართველ წყალბურთელებს, წლეულს ისინი ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე გამოვლენ. შესარჩევი ტურნირი მაისში გაიმართება. მანამდე ჩვენები სამ საწვრთნელ შეკრებას სერბეთში გაივლიან. აპრილში ოლიმპიური თამაშების პრიზიორის ნოდარ გვახარიას ტურნირში იასპარეზებენ. ამ შეჯიბრებას თბილისის „ოლიმპიკი“ უმასპინძლებს. ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს. კერძოდ, სერბები, რუმინელები, თურქები, უკრაინელები და ყაზახები გვეწვევიან. ასეთი მკაცრი გამოცდის შემდეგ ქართველ წყალბურთელებს შესარჩევ ტურნირში ევროპის პირველობის ფინალური ეტაპის (მალტა, სექტემბერი) საგზურის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეთ.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

**არგენტინელი სუპერვარსკვლავი ლეო მესი ფიფამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად 7 იანვარს ზედიზედ მეოთხედ(!) აღიარა. ბარსელონას ლიდერმა ხმების 41,60% მიიღო, მადრიდის რეალის პორტუგალიელი ლიდერი კრიშტიანუ რონალდუ 23,68%-ით მეორე ადგილზე გავიდა, ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული ანდრეს ინიესტა კი 10,91%-ით მესამე იყო.**

„სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს ჯილდო ცოტა დაუჯერებელიც კია – ოქროს ბურთის ზედიზედ ოთხჯერ მოგება ფანტასტიკური შედეგია და თავი სიზმარში მგონია! მინდა ყველა თანაკლუბელს და თანაგუნდელს მადლობა ვუთხრა, ანდრეს ინიესტას კი გამორჩეულად – ანდრეს, შენს მხარდამხარ თამაში ჩემთვის ძალიან დიდი პატივია,“ – განაცხადა ტრიუმფატორმა შვეიცარიის ქალაქ ციურიხში, კონგრესჰაუსში გამართულ ცერემონიალზე.

## ზედიზედ მეოთხედ: ლეო მესი მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეა!

**2012 წელი ლეო მესისთვის ტრადიციულად ძალიან წარმატებული გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი გუნდური ტიტული მოიგო - ესპანეთის თასი. სამაგიეროდ, არაერთი ინდივიდუალური ჯილდო მოიპოვა და უამრავი რეკორდი გააუმჯობესა: 17 თებერვალს ესპანეთის ჩემპიონატში საიუბილეო, მე-200 შეხვედრა ჩაატარა; 7 მარტს ლევერკუზენის ბაიერს 5 გოლი გაუტანა და პირველი ფეხბურთელი გახდა ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, ვინც ეს მოახერხა; 20 მარტს გრენადას ჰეთ-თრიქი შეუსრულა და ოფიციალურ ტურნირებში ბარსელონას საუკეთესო ბომბარდირი გახდა – სესარ როდრიგესის საკლუბო რეკორდი – 232 გოლი გააუმჯობესა; 3 აპრილს ჩემპიონთა ლიგაში მორიგი გოლები გაიტანა და ჟოზე ალტაფინის1962-63 წლების მიღწევა – ევროსეზონში 14 გოლი – გაიმეორა; 5 მაისს ესპანიოლთან მატჩში პოკერი შეასრულა და არჩი სტარკის (ბეთლეემი, 1924-25 წლების სეზონი, ამერიკის საფეხბურთო ლიგა) შემდეგ გახდა მხოლოდ და მხოლოდ მეორე მოთამაშე, რომელმაც უმაღლეს დონეზე ერთ სეზონში 70-ზე მეტი ბურთი შეაგდო; 50 ბურთით ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ჩემპიონთა ლიგის მთავარმეგოლის ტიტული კი ზედიზედ მეოთხედ მოიგო, ამჯერად 14 გოლით; აგვისტოში, ესპანეთის სუპერთასზე მადრიდის რეალს მორიგი გოლი გაუტანა და ბარსელონას ისტორიაში კლასიკოების საუკეთესო ბომბარდირი გახდა 15 გოლით; 11 ნოემბერს ორჯერ გაუტანა მალიორკას და ფეხბურთის მეფეს პელეს გადაუსწრო – კალენდარულ წელიწადში 75-ე და 76-ე გოლები შეაგდო; 1 დეკემბერს ბილბაოს ატლეტიკთან დუბლი შეასრულა – ჩემპიონატში საკლუბო რეკორდსმენს, 190 გოლის გამტან სესარ როდრიგესს გაუთანაბრდა; 9 დეკემბერს სევილიის ბეტისთან კიდევ ერთხელ შეასრულა დუბლი და ლეგენდარული გერმანელი ბომბარდირის გერდ მიულერის მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა – ერთ წელიწადს ყველაზე მეტი, 86 გოლი შეაგდო, საბოლოოდ კი 2012 წელი 91 ბურთით დაასრულა.**



18 დეკემბერს ბარსელონამ ოფიციალურად განაცხადა, რომ სუპერვარსკვლავთან ახალი კონტრაქტი გაფორმდა – 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

* * *

**გოგონათა შორის 2012 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული ამერიკელმა ები უემბეხმა მოიგო. ის ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონი, საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი გახდა.**

ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულის ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე ფიფამ წლის საუკეთესო თავკაცად აღიარა, ქალთა შორის კი ეს ტიტული ამერიკის ნაკრების ყოფილმა და შვედ გოგონათა ამჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა პია სუნდეჯმა მოიგო.

ფერენც პუშკაშის სახელობის ფიფას ჯილდო წლის ულამაზესი გოლისთვის მიროსლავ შტოხს გადაეცა – ფენერბახჩეში თამაშისას გენჩლერბირლიგის კარში მის მიერ გატანილი გოლი სპეციალისტებმა ყველაზე ეფექტურად აღიარეს.

ფიფას პრეზიდენტის სახელობის ჯილდო გერმანიის ნაკრების ექს-კაპიტანს და ექს-მწვრთნელს, დიდებულ ფრანც ბეკენბაუერს ერგო, უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციას კი ფიფას სამართლიანი თამაშის ჯილდო გადაეცა.

ფიფამ ფიფპრო-სთან ერთად 2012 წლის სიმბოლური ნაკრების წევრებიც დააჯილდოვა: **მეკარე** იკერ კასილიასი (მადრიდის რეალი და ესპანეთის ნაკრები); **მცველები:** დანი ალვეში (ბარსელონა, ესპანეთი; ბრაზილია), სერხიო რამოსი (მადრიდის რეალი, ესპანეთი; ესპანეთი), ხერარდ პიკე (ბარსელონა, ესპანეთი; ესპანეთი), მარსელო (მადრიდის რეალი, ესპანეთი; ბრაზილია); **ნახევარმცველები:** ხაბი ალონსო (მადრიდის რეალი, ესპანეთი; ესპანეთი), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა, ესპანეთი; ესპანეთი), ხავი (ბარსელონა, ესპანეთი; ესპანეთი); **თავდამსხმელები:** ლეო მესი (ბარსელონა, ესპანეთი; არგენტინა), რადამელ ფალკაო (მადრიდის ატლეტიკო; ესპანეთი; კოლუმბია), კრიშტიანუ რონალდუ (მადრიდის რეალი, ესპანეთი; პორტუგალია)

**ფიფას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი 1991-2012**

2012 – ლეო მესი (ბარსელონა, ესპანეთი; არგენტინა), 2011 – ლეო მესი (ბარსელონა, ესპანეთი; არგენტინა), 2010 – ლეო მესი (ბარსელონა, ესპანეთი; არგენტინა), 2009 - ლეო მესი (ბარსელონა, ესპანეთი; არგენტინა), 2008 – კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი; პორტუგალია), 2007 – კაკა (მილანი, იტალია; ბრაზილია), 2006 – ფაბიო კანავარო (ტურინის იუვენტუსი, იტალია/მადრიდის რეალი, ესპანეთი; იტალია), 2005 – რონალდინიო (ბარსელონა, ესპანეთი; ბრაზილია), 2004 – რონალდინიო (ბარსელონა, ესპანეთი; ბრაზილია), 2003 – ზინედინ ზიდანი (მადრიდის რეალი, ესპანეთი; საფრანგეთი), 2002 – რონალდო (მილანის ინტერი, იტალია/მადრიდის რეალი, ესპანეთი; ბრაზილია), 2001 – ლუიშ ფიგუ (მადრიდის რეალი, ესპანეთი; პორტუგალია), 2000 – ზინედინ ზიდანი (ტურინის იუვენტუსი, იტალია; საფრანგეთი), 1999 – რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი; ბრაზილია), 1998 – ზინედინ ზიდანი (ტურინის იუვენტუსი, იტალია; საფრანგეთი), 1997 – რონალდო (ბარსელონა, ესპანეთი/მილანის ინტერი, იტალია; ბრაზილია), 1996 – რონალდო (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია/ბარსელონა, ესპანეთი; ბრაზილია), 1995 – ჟორჟ ვეა (პარი სენ-ჟერმენი, საფრანგეთი/მილანი, იტალია; ლიბერია), 1994 – რომარიო (ბარსელონა, ესპანეთი; ბრაზილია), 1993 – რობერტო ბაჯო (ტურინის იუვენტუსი; იტალია), 1992 – მარკო ვან ბასტენი (მილანი, იტალია; ჰოლანდია), 1991 – ლოთარ მათეუსი (მილანის ინტერი, იტალია; გერმანია).

**საკუთარი ინფორმაცია**

კალათბურთი

# ჩვენებურთა უქმეები

**მაშინ, როცა საქართველოს სუპერლიგაში საშობაო არდადეგებია გამოცხადებული, ევროპაში გახურებული საკალათბურთო სეზონია, სადაც ჩვენი თანამემამულენი ღირსეულად გამოიყურებიან.**

**ეს განსაკუთრებით იტალიაში მოთამაშე „ჯვაროსნებზე“ ითქმის, რომლებმაც გასულ უქმეებზეც ისახელეს თავი.**

„მილანი“ – „კანტუ“ 76:84. **მანუჩარ მარკოიშვილი** – 19 ქულა, 2 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 პასი (29 წუთში).

„მონტეპასკი“ – „მონტეგრანარო“ 93:79. **ვიქტორ სანიკიძე** – 13 ქულა, 12 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 პასი, 1 დაფარება (26 წუთში).

**ესპანეთი**. „კახასოლი“ – „მანრესა“ 67:60. **ბექა ბურჯანაძე** – 0 ქულა (2 წუთში).

**ისრაელი**. „ჰაპოელი“ – „მაკაბი“ 71:79. **ჯეიკობ პულენი** – 8 ქულა, 3 მოხსნა, 9 პასი, 2 ჩაჭრა (31 წუთში).

**ვიტალი ჯაფარიძე**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხსოვნა

# ზურაბ ჭანკოტაძე



გარდაიცვალა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ღვაწლმოსილი მუშაკი, გორგასლის ორდენის კავალერი **ზურაბ ჭანკოტაძე**.

მისი მამა, გენერალი შალვა ჭანკოტაძე იყო საქართველოს სამოქალაქო ავიაციის პირველი სამმართველოს დამაარსებელი და ხელმძღვანელი. მისი თაოსნობით ქართველმა ავიატორებმა დიდი ღვაწლი შეიტანეს როგორც ქართული სამოქალაქო ავიაციის განვითარებაში, ისე სამამულო ომის გამარჯვებაშიც.

ზ. ჭანკოტაძემ გააგრძელა მამის საქმე. თბილისის 27-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ კრემენჩუკის საფრენოსნო სკოლაში, შემდეგ კი – კიევის სამოქალაქო ავიაციის ინსტიტუტში. შრომით საქმიანობაში ჩაება მფრინავად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემაში. წლების განმავლობაში იფრინა ან-2, იაკ-40 და ტუ-154 ტიპის თვითმფრინავებზე. 1982 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე – გაერთიანებული ავიარაზმის საფრენოსნო ესკადრილიის უფროსად, 112-ე საფრენოსნო რაზმის მეთაურად, სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ და სხვ. 1992 წლიდან მუშაობდა სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსად, 1999 წლიდან – საქაერონავიგაციის სამეთავალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. 2002-2004 წლებში იყო საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარე.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ზურაბ ჭანკოტაძის ხელმძღვანელობით, საქართველოს სამოქალაქო ავიაციამ დაიწყო დამოუკიდებელი საქმიანობა, – შესრულდა პირველი დამოუკიდებელი საერთაშორისო ფრენები. საქართველოს სამოქალაქო ავიაცია გახდა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (იკაო) წევრი. ათეულობით სახელმწიფოსთან გაფორმდა ხელშეკრულებები საერთაშორისო ფრენების შესრულების შესახებ.

განსაკუთრებულია ზ. ჭანკოტაძის როლი აფხაზეთის კონფლიქტისას, საომარი მოქმედებების მიუხედავად, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სამოქალაქო თვითმფრინავებმა შეასრულეს ასობით რეისი და სამშვიდობოზე გამოიყვანეს ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე. ამ საქმიანობაში, სხვების სამაგალითოდ, ხშირად მონაწილეობდა პირადად ბატონი ზურაბიც.

წავიდა ჩვენგან კეთილშობილი ადამიანი, უანგარო და მართალი კაცი, შესანიშნავი მამულიშვილი, მეუღლე, მამა, ქართულმა საზოგადოებამ დაკარგა პროფესიონალი მფრინავი და ღირსეული მოქალაქე.

მაღალმა ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

**საქართველოს ავიატორები, მეგობრები**

ყურადღება!

# აქტიური დღეები იანვარში

**იანვარში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 14,17-22, 27 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტივობისა და საზოგადოებრივი დაძაბულობის გაძლიერება.**

**10 – მთვარე-ვენერის შეერთება.** დიდია სისხლძარღვთა, განსაკუთრებით მუხლის სისხლძარღვთა, კანის, სასუნთქი გზების დაავადებათა ალბათობა, ტკივილები ხერხემალსა და კბილებში, ყაბზობა. შესაძლებელია კვებითი მოწამვლები. ახალი მთვარის წინ იმუნიტეტი დაქვეითებულია, ამიტომ აუცილებელია კარგი კვება, მაღალი ხარისხის პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული, სრულფასოვანი დასვენება. ერიდეთ გაციებასა და ინტენსიურ ფიზიკურ დატვირთვებს. კარგია ეს დღე მივუძღვნათ ხელოვნებას, გამოფენებისა და თეატრების სტუმრობას. არ არის გამორიცხული ფულის უბრალო ხარჯვა – შესყიდული საგნები შეიძლება არ აღმოჩნდნენ კარგი.

**11 – სრული მთვარე, მთვარის შეერთება პლუტონთან და მერკურთან.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შეიძლება გაჩნდეს უნდობლობა სხვისი აზრისადმი. საალბათოა სასქესო ორგანოების, ფილტვებისა და ბრონქების დაავადებანი, ტრავმები და მოტეხილობა. არ არის გამორიცხული გაციების დაავადებანი და ნევროგენური ხასიათის კანის დაავადებანი. სასარგებლოა გამაჯანსაღებელი ვარჯიშები, კანის მოვლა, გამაჯანსაღებელი პროცედურები. ერიდეთ გაციებასა და დიდ ფიზიკურ დატვირთვებს ხერხემალსა და ხელებზე.



**13 – მთვარე-მარსის შეერთება.** შესაძლებელია გაღიზიანება და სიჯიუტე, ძილის დარღვევა და თავის ტკივილები. არის დაცემების, მოტეხილობის საფრთხე, გულის ცემის აჩქარება, ფეხის სისხლძარღვთა ტკივილები, ინფექციური და გადამდები დაავადებანი. უნდა ვერიდოთ კონფლიქტებსა და ურთიერთობათა გარკვევებს. ნუ გადატვირთავთ ნერვულ სისტემას, თვალებსა და ფეხებს. საწინააღმდეგო ჩვენებითია ოპერაციები თავზე, ფეხებზე, ვენებზე და ყველა სისხლძარღვზე. ერიდეთ სტრესებს, გამორიცხეთ ალკოჰოლი, ფრთხილად გამოიყენეთ უცნობი წამლები. ხელსაყრელი დროა ძილის აღდგენისთვის, ფიზიკური ვარჯიშებისთვის, ინტელექტუალური საქმიანობისა და დასვენებისთვის.

**14 – მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** მეტად საალბათოა ნალექები, წყალდიდობა, პრობლემები წყალმომარაგებასთან დაკავშირებით. ძლიერდება ემოციურობა, ოცნებებისადმი მიდრეკილება, სუსტდება რეალობის გრძნობა. გაზრდილია ავარიებისა და ტრავმების საფრთხე, დიდია ინფექციურ, ფსიქიკურ დაავადებათა გამწვავების ალბათობა. არ არის გამორიცხული შეშუპება, სასურველია არ გადავტვირთოთ ღვიძლი, ფეხები და სმენის ორგანოები. უარი თქვით ალკოჰოლზე და ყავაზე. შეამცირეთ საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებებთან კონტაქტის დრო, ერიდეთ მოტყუებას. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟი.

**17 – მთვარე-ურანის შეერთება.** ხელსაყრელი დროა შემოქმედებისთვის. არ არის გამორიცხული სიყვარული პირველი ნახვით. ჯანმრთელობისთვის დამანგრეველი შეიძლება აღმოჩნდეს ეჭვიანობა, ექსცენტრულობა. შესაძლებელია ვენების, სასქესო ორგანოების, ყელ-ყურცხვირის, თავის დაავადებათა გაძლიერება, თავის ტკივილები და მშფოთვარე ძილი. ეცადეთ, დაიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, არ არის რეკომენდებული ბევრი მოწევა, ყავა, ალკოჰოლი. სვით უფრო მეტი სუფთა წყალი, დაასვენეთ თვალები. ხელსაყრელია ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები და სეირნობა. ფრთხილად იყავით ცეცხლთან, ერიდეთ დაცემებს, გაუფრთხილდით თავს. მზად იყავით მატერიალური დანაკარგებისთვის.

**19 – მთვარის პირველი მეოთხედი.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ყველაზე აქტიური დროა პირველი მეოთხედიდან სრულ მთვარემდე. ჭარბი ენერგიის არასწორად გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს დავებთან, კონფლიქტებთან, საერთო ნერვიულობასთან. შესაძლებელია ყელისა და ცხვირის, კბილების, ფარისებრი ჯირკვლების, ფილტვებისა და ბრონქების, სასუნთქი გზების ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. ამ ორგანოებზე და თვალებზე ოპერაციები უმჯობესია არ გავიკეთოთ. იზრდება უყურადღებობა. არ ღირს ოპერაციები ფულთან და უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. გაზრდილია გაციებისა და ანგინის, კვებით მოწამვლის საფრთხე. სასარგებლოა წყლის პროცედურები. კვებაში მცირედი შეზღუდვა დაგვეხმარება თავი ავარიდოთ წონის მომატებას – ამ პერიოდში საკვებს კარგად ითვისებს ორგანიზმი.

**22 – მთვარე-იუპიტერის შეერთება, მთვარის აპოგეა.** შეიძლება შეინიშნებოდეს აქტიურობა, გაუწონასწორებლობა, გარეგამღიზიანებლების მაღალი აღქმა, ცვლილების სურვილი. შესაძლებელია ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქული ასთმის, ოსტეოქონდროზის გამწვავება. არ არის გამორიცხული რევმატული გაელვებანი მხრებისა და ზურგის არეში. გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას, ბოროტად ნუ გამოიყენებთ ცხიმიან და ტკბილ საკვებს. უყურადღებოდ ნუ მოეკიდებით სერიოზულ ცხოვრებისეულ პრობლემებს, ფხიზლად შეაფასეთ წარმოქმნილი სირთულეები. სასარგებლოა გამასუფთავებელი და წყლის პროცედურები, სუნთქვითი ვარჯიშები.

**27 – სრული მთვარე.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, აქტიურობა, შემოქმედებისადმი მისწრაფება, გაღიზიანება. შესაძლებელია უძილობა, ტკივილები გულსა და სისხლძარღვებში, რადიკულიტის შეტევები. სასარგებლოა ჰაერის აბაზანები და სრულფასოვანი ძილი. ერიდეთ მოწევასა და ალკოჰოლს, გადამღლელ სამუშაოებს, გონებრივ და ფიზიკურ გადაღლილობას. დაიცავით ზომიერება. ნუ დაიშურებთ კომპლიმენტებსა და შექებას. ხელსაყრელი დროა ბავშვებთან თამაშისთვის, შემოქმედებისა და დასვენებისთვის.

---

ედუარდ შევარდნაძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული სამოქალაქო ავიაციის ყოფილი ხელმძღვანელი, შესანიშნავი მოქალაქე და მეგობარი

**ზურაბ ჭანკოტაძე**

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, ახლობლებს, ქართველ ავიატორებს.

თბილისი, 8 იანვარი, 2013 წ.

---

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება თანაუგრძნობს ცნობილ ისტორიკოსს, პროფესორ გიორგი ოთხმეზურს მეუღლის

**მანანა მაისურაძის**

გარდაცვალების გამო.

---

სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტი და რაიონული კომიტეტები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოლეგ ძნელაძე**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

საქართველოს ყოფილი სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**ოლეგ ძნელაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონი თეიმურაზ ბერიშვილის დის

**ვიოლა გაბრიელის ასული ბერიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სატელეფონო კომპანიები „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ თემურ ბერიშვილს დის

**ვიოლა ბერიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ თემურ ბერიშვილს დის

**ვიოლა გაბრიელის ასული ბერიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, დემურ ინჯია, კოტე სამუშია, ილია ინჯია, ვახტანგ თოდუა, დავით ინჯია, თეიმურაზ ღოღობერიძე, თორნიკე აფაქიძე, ლევან კიკნაძე, ნუგზარ ბენდიაშვილი, ლევან ინჯია, ნუგზარ კვიკვინია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ თეიმურაზ ბერიშვილს დის

**ვიოლა გაბრიელის ასული ბერიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

გამომცემლობა „ინტელექტი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ისრაელში გარდაიცვალა ცნობილი პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე

**ჯემალ აჯიაშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

პედიატრიის ინსტიტუტი, ალერგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ექიმი-პედიატრის რუსუდან ჯაშის დედა

**ლარისა გრიგოლია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

პედიატრიის ინსტიტუტი, ალერგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ექიმი-პედიატრის გიული თეთრუაშვილის მეუღლე

**იური მოროზი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## განცხადება

გაცნობებთ, რომ 2012 წლის 19 დეკემბრის გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა შპს „აზერინშაატსერვისის“ წარმომადგენლობა საქართველოში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვა. თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით (6 თებერვალი) დამატებით გაცნობებთ, რომ 2013 წლის 27 თებერვალს ქ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შენობაში, დღის 12:30 საათზე ეწყობა შპს „აზერინშაატსერვისის“ წარმომადგენლობა საქართველოში მიერ „ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ახალქალაქი-კარწახის“ უბნის სადგურ კარწახიდან 693-მეტრიანი კორექტირებული ტრასისა და თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე გამავალი 1930-მეტრიანი გვირაბის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის განხილვა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## გფარავდეთ ქრისტეშობის მადლი!



# ალილო – შობის დღესასწაულის მშვენება





ქრისტიანულმა სამყარომ შობის დღესასწაული აღნიშნა. 7 იანვარს ტრადიციულად, თბილისშიც საშობაო მსვლელობა გაიმართა. მეალილოეებმა ვარდების მოედნიდან დაიწყეს და მსვლელობა სამების საკათედრო ტაძრის მიმართულებით გააგრძელეს.

მსვლელობაში სასულიერო პირები, სტიქაროსნები და რიგითი მოქალაქეები – მრევლი, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ჩოხოსნები მონაწილეობდნენ.

ტრადიცია არ დაირღვა და მეალილოეებს თბილისში, პარლამენტის შენობის წინაც უმასპინძლეს. მათ პარლამენტის ვიცე-სპიკერებმა მანანა კობახიძემ და ზურაბ აბაშიძემ, სხვა დეპუტატებმა საჩუქრები გადასცეს.

ალილოს მონაწილეებს გზადაგზა მოსახლეობა უერთდებოდა. მათ ტკბილეული და საჩუქრები მიჰქონდათ. მსვლელობის ბოლოს შემოწირულობები სამების ტაძარში მიიტანეს და ამ დღეებში ბავშვთა სახლებსა და უმწეოთა თავშესაფრებში გადაანაწილებენ.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### ირაკლი ალასანია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება?

საპრეზიდენტო არჩევნებამდე 9 თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი, მაგრამ, წესით, გამოკვეთილი უნდა იყოს საპრეზიდენტო კანდიდატები. არც მეოცნებეები და არც ნაცმოძელები საკუთარი ფალავნების დასახელებას არ ჩქარობენ. ერთხელ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტობისთვის იდეალური კანდიდატი ვახტანგ ხმალაძე იქნებაო. ამასთან, მეოცნებეები არ ადასტურებენ, რომ ხმალაძე იქნება მათი კანდიდატი. არჩევანი სხვა კანდიდატზე შეჩერდება. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ეს ირაკლი ალასანია იქნება. ალასანიას კანდიდატურა ბევრისთვის არის მისაღები. ამბობენ, რომ ამერიკა სწორედ მასზე აკეთებს არჩევანს. იგი მისაღებია რუსეთისთვისაც.

„ახალი თაობა"

### რესტორნების ნაწილი სადღესასწაულო დღეებში კლიენტების გარეშე დარჩა

წლევანდელი ახალი წელი თბილისური რესტორნების დიდი ნაწილისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა, ბევრ მათგანს შეკვეთები არ მიუღია. „ადგილები წინასწარ აბსოლუტურად არავის შეუკვეთავს. რესტორნის მუშაობაში ეს პირველი შემთხვევაა. მენიუ წინასწარ შევადგინეთ, მოცეკვავეებიც უნდა მოგვეწვია, მაგრამ პროგრამა საერთოდ გავაუქმეთ", – ამბობს ერთ-ერთი რესტორნის თანამშრომელი.

აღსანიშნავია, რომ 31 დეკემბრის ღამეს მომხმარებლისთვის რესტორან „წისქვილის" კარიც დაიხურა. ახალი წლის ღამეს თანამშრომლები სახლებში შეხვდნენ.

„რეზონანსი "

## ინფორმაცია

### საქართველოს ფოსტამ ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო

საქართველოს ფოსტამ მომსახურების სრულყოფისა და ადრესატისთვის წერილის ჩაბარების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტი, რომლის განხორციელებაც მუხიანის საფოსტო მომსახურების ცენტრიდან დაიწყო, ბონუსური სახელფასო სისტემის გამოყენებას ითვალისწინებს.

მისი მიზანია ფოსტის თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდა, კერძოდ ყოველი ადრესატისთვის ჩაბარებული გზავნილი გავლენას იქონიებს კურიერის ანაზღაურებაზე, მომხმარებელთა საინფორმაციო ბაზის ფორმირება და განახლება კი – ოპერატორთა ანაზღაურებაზე.

პროექტის წარმატება პირველივე დღეების ანალიზითაც აშკარაა. საშუალოდ 52%-იანი ჩაბარების მაჩვენებელი 75%-მდე გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფოსტა არ აპირებს საწყისი მაჩვენებლების განზოგადებას, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ პროექტი შედეგიანი იქნება და უმოკლეს ვადებში საქართველოს ყველა საფოსტო მომსახურების ცენტრში დაინერგება.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

– რატომ ხარ დღეს ასეთი აფორიაქებული?

– ცოლმა დაიფიცა, ერთი კვირა არ დაგელაპარაკებიო.

– მერე მაგას რა ჯობია!

– ჰო, მაგრამ დღეს მისი დაპირების ბოლო დღეა.

* * *

– ეს შენა ხარ, საყვარელო? – კითხულობს ქმარი ტელეფონით.

– არა, ეს მე ვარ, – უპასუხებს ცოლი.

* * *

– ხვალ ჩვენი დაქორწინებიდან ზუსტად ოცი წელი სრულდება. ხომ არ გამოგვეჭრა ყელი გოჭისთვის ამასთან დაკავშირებით? – ეკითხება ცოლი ქმარს.



– კი, მაგრამ გოჭმა რა დააშავა?

* * *

– და კიდევ იმის თქმა დამავიწყდა, – ეუბნება მომავალი სიდედრი მომავალ სიძეს, – რომ ჩემი გოგო ასევე ძალიან მუსიკალურია, ძალიან ცნობილი პიანისტი ამეცადინებდა.

– კარგი, რაც არის, არის, – ამოიოხრებს სასიძო, – მაინც დავქორწინდები, რაკი დავპირდი.

* * *

– ძვირფასო, შენ ხომ გინდოდა დაბადების დღის აღსანიშნავად „ნორკა"? – ეუბნება ქმარი ცოლს.

– მინდოდა კი არა, ვოცნებობდი კიდეც.

– ჰოდა, გიყიდე. ოღონდ შენ თვითონ უნდა აჭამო და ასეირნო.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com